№ II.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“:

I. დედა და შვილები (რუსულიდან) ლექსი შ. მდივნელისა 3
II. მარო და მერცხალი (გადმოკეთ.) იაკობ გოგებაშვილისა 4
III. ვაშლის ხე—ან. წერეთლისა 8
IV. გლეხი და გველი (სპარსული იგავი) გ. ახალციხელისა . 14
V. კრუხების ბრძოლა ქორთან — იაკობ გოგებაშვილისა . . 17
VI. საბრალო სანთლის თავგადასავალი (რუსულ.) ან. წ—ისა. 20
VII. სწავლული ვირი—ი. ს.-სი. 22
VIII. იესო ქრისტე ქორწილში—გ. წულუკიძისა . . . 26
IX. მესტვირე (იგავი) ალ. ო—შვილისა. 28
X. ვერხვი—ვაჟა ფშაველასი. 29
XI. *** ლექსი შიო მდივნელისა 35
XII. სამშობლოს სიყვარული—პეტაგიაშვილისა. 46
XIII. პასკალის ოჯახი (დასასრული) ან. წერეთლისა . . . 50
XIV. ჰაერში ფრენა II—ილიკოსი 59
XV. სამეცნიერო გასართობი—ბორასი 63
XVI. წვრილმანი: ხალხური ლექსი, გამოცანები, ანდაზები, აკროსტიხი, ანაგრამა, უჯრების ამოცანა, რებუსი და სხ. 64

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ II.

99 11

წელიწადი მეთერთმეტე

თბილისი
სტამბა ექვთ. ივ. ხელაძისა. Тип. Еф. Ив. Хеладзе.
1900

საქართველოს სახ. ბ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
ტ ბ ი ლ ი ს ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Февраля 1900 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა და შვილები

(რუსულიდან)

Ეფრო მეტათ ვის უყვარხართ,
ვინ გფენთ, შვილო, გულს სიამეს,
ვინ ატარებს თქვენს ზრუნვაში
მოუსვენრათ დღეს და ღამეს?

დედა ჩვენი საყვარელი.

ვინ მოგითხრობთ ღამით ზღაპრებს,
ვინ დაგმღერით ტკბილათ ნანას,
ვინ გაგვიდრებთ გულ-მხურვალეთ
მაღლა ცას და მირს ქვეყანას?

დედა ტკბილი სანატრელი.

ვინცა თქვენგანი სიზარმაცით
ონავრობს და არა სწავლობს,
ცრემლებს ვინ ღვრის, ვინ სწუხს
თქვენზე,
ვინ ფიქრობს და ვინა წვალობს?

ისევ დედა სასურველი.

შ. მდივანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარო და მერცხალი

(გადმოკეთებული)



ვატარა მაროს მიუვანა ძმამ მერცხლის ბარტელი. მაროს ძლიერ უყვარდა ვატარა ფრინველები და ამიტომ სათუთად გაზარდა მერცხალი და გააშინაურა. სრულიად გაჩვეული მერცხალი არხეინად დაფრინავდა ოთახებში და თავისი ჭიკჭიკით ამხიარულებდა მთელს სახლსა. მარო ანებივრებდა მერცხალსა, ეალერსებოდა და საუკეთესო საჭმელს არ აკლებდა. მერცხალმაც ძლიერ შეიყვარა ვატარა კეთილი გოგონა და სულ იმის გარშემო ტრიალებდა: ხან თავზე აჯდებოდა, ხან მხარზე, ხან ხელზე, ხან წინ მიუფრინავდა, ხან უკან მოექცეოდა, ხან ზევიდან დასტრიალებდა, თითქო თავს ევლებაო.

ასე ტკბილად ატარებდნენ დროს კაი ხნის განმავლობაში ვატარა გამდელი და მისი ჭიკჭიკა შვილობილი; მაგრამ ამ სიტკბოებას მალე მოეღო ბოლო, საუბედუროდ.

ერთხელ მარო ტახტზე იყო ჩამომჯდარი და ბანქოების ხუხულას აკეთებდა. უნდოდა აეგო ჩინებული ორ-სართულიანი ბანქოს შენობა; მაგრამ ძლიერ გაუძნელდა დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრება ამისთანა შენობისა, თუმცა მაროს ხუხულებრივ ყველ-
თებაში ბადალი არა ჰყავდა. თუნდა ათჯერ აიკვანა ხუხუ-
ლა ზემო ბანამდინ; მაგრამ სწორედ დახურვის დროს ჩა-
ეფუშებოდა ხოლმე და ფუჭად მისდიოდა იმოდენა შრომა
და წვალება. სხვა უამისო თავს დაანებებდა, მაგრამ მარო
მეტად შეუპოვარი ბავშვი იყო და რასაც მოიწადინებდა,
უთუოდ უნდა შეესრულებინა... ამიტომ ხუხულას თავი არ
დაანება და იმდენი ეცადა და ეწვალა, ვიდრე გულის წა-
დილს ეწეოდა. აიკვანა მაღალი კედლები, გაუკეთა კარე-
ბი და ბოლოს გადახურა ზეიდან ბანი ისეთი სიფრთ-
ხილით, რომ არც ერთი ბანქო იოტის ოდნად არ შეუნ-
ძრევია. დამთავრდა, დასრულდა მაღალი ორ-სართულიანი
და მეტად შნოიანი ხუხულა; მაგრად და ლამაზად იდგა და
ჩაფუშვის შიში აღარ იყო.

მაროს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დიდებულის
მცხეთის ტაძრის აღმშენებელსაც კი იმაზე მეტი სიხარული
არ გამოუვლია, რასაც ამ წამს მარო გრძნობდა. „როგორ
გაიხარებს დედა-ჩემი, როცა ამ მშვენიერს ხუხულას ნა-
ხავს“, იფიქრა მარომ, და ზეზე ადგომა იწყო, რომ დე-
დისაკენ გაქანებულიყო, მოეკვანა, ენახვებინა თავისი ხუ-
ხულა, თავი მოეწონებინა და გაეხარებინა. მაგრამ სწო-
რედ ამ დროს თაროდან წამოვიდა მერცხალი და ხელზე
უნდა დასჯდომოდა მაროსა. ამითი უნდა ეჩვენებინა მერ-
ცხალს თავისი გამდელისათვის, რომ მასაც მოსწონს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ჩინებული ხუხულა და მისს სიხარულს თავისს სიხარულსაც უერთებს. მაგრამ ღმერთმა თქვენს მტარსაც ნუ მისცეს ის სიხარული, რაც მერცხალმა მარო მიაყენა; ხელზე დაჯდომის დროს ერთი თავისი ფრთა მოახვედრა ხუხულის ბანსა და ერთის თვალის დახამხამებაში მთელი შენობა რახა-რუხით ჩაიშალა ბანიან-კედლებიანათ

მცხეთის ტაძარი რომ დანგრეულიყო თავისი დამთავრების დროსა, მისი სახელოვანი ოსტატი არ გამოსცდიდა იმაზე მეტს სიმწარეს, რაც ჰატარა მარომ იგრძნო თავისი ხუხულის ჩაშლით. ჯერ თითქმის გული შეუწუხდა, მერმე ეს გულის წუხილი სიბრაზედ გადაექცა და თავისი ბრაზი იყარა იმაზე, ვინც უნებლიედ ჩაუფუშა ხუხულა. მიესწვდა თავისს საყვარელს მერცხალს, სტაცა ხელი და რამდენჯერმე დაურიდებლად ჩაუთათქუნა თავში. ნაზმა ფრინველმა ვერ აიტანა ცემა, დაეცა ძირს, იწყო საცოდავად ფრთხიალი, მერმე გაიბნიდა, გაიშოტა და სული დალია.

„ვაიმე, დედავ, მოვკალი, მოვკალი ჩემი ჭიკჭიკა“,— ამოიკვნესა მარომ და წასქდა მდუღარე ცრემლები თვალებიდან; მერმე სვეწნა დაუწყო თავისს საყვარელს ფრინველსა: ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, მოცოცხლდი, გამოიღვიძე და გეფიცები, რომ კვლავ ხელს არასოდეს აღარ გახლებ და სიყვარულის მეტს არას გიჩვენებო. მაგრამ მერცხალი გაფიჩხებული იყო და ვეღარ მოასულიერა მარომ ალერსმა და ტირილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარომ გამოიტირა თავისი უბედური შვილობილი, მერმე წაიღო და დამარხა ბალჩაში ალუბლის ქვეშა. ხშირად დადიოდა შემდეგშიაც მერცხლის საფლავზე და სწუხდა თავისს დანაშაულობაზე.

ეს უბედური შემთხვევა ისე ღრმად ჩარჩა გულში მგრძნობიარე მაროსა, რომ ამის შემდეგ ის ადარავის უნახავს გაბრაზებული.

იაკობ გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშლის ხე

ამამ თავისი შვილები, კატო და ვანო ,ორიოდ დღით სტუმრათ გაგზავნა სოფელში ნათესავებთან. ემაწვილებს ჯერ არ ენახათ სოფელი და დიდი სიხარული ჰქონდათ. ტოლი ბიძაშვილები ამათ მხიარულათ დაუხვდენ და მაშინვე წაიყვანეს თავის თვალ-გადუწვდენელი ბაღის სანახავათ, სადაც დიდძალი ხეხილები იდგა.

ემაწვილები ყველაფერს გაკვირვებით შესცქეროდენ, ყველა უნდოდათ შეეტყოთ და გამოეკითხათ.

ამ დიდ ბაღში უფრო ბევრი ვაშლის ხე იდგა, სულ სხვა და სხვა ჯიშისა. ვაშლის გადაშლილი ტოტები მთლათ დაფარული იყო დაბრაწული ვაშლებით და ქალაქელ ბავშვებისთვის სწორეთ სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა.

— რამდენი ვაშლებია! — წამოიძახა აღტაცებით კატომ.

— თითქოს ხე განგებ წითლათ მოურთავთო! — ამბობდა ვანო.

ზოგ ადგილას ვაშლი კიდეც მოეკრიფათ და ხის ძირას აეგროვებინათ, ზოგან კი მოხუცი ებაღე და მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკრეფავდენ ვაშლებს. იმისთანა ვაშლის ხეებიც იყო, რომ-
ლებსაც სულაც არ ეტეობოდა, რომ ვაშლი სხმოდა.

— ეს ხეები კი დაჭკრიფეს?—ჭკითხა ვანომ ექვსი წლის
დათას, როდესაც ორივე სხვებს უკან ჩამორჩენ.

— არა, მაგათ არას დროს არ ასხიათ ხოლმე.—უპა-
სუხა ჰატარამ.

— როგორ თუ არ ასხიათ? მაშ რისთვის დაურგავთ?
გაიკვირვა ვანომ.

— ასეა. მე ვიცი, რომ მაგათ ვაშლი არ ასხია ხოლ-
მე.—უთხრა დარბაისლურათ დათამ.

— არ მესმის, რა მიზეზით არ უნდა ესხას!—დაი-
ჟინა ვანომ.

— იმგვარი ვაშლის ხეა, რომ არ ისხამს.—გაი-
მეორა დაბეჯითებით დათამ.

ვანოს გაეცინა, მერე დაეწია სანდროს და ჭკითხა:

— დათა მარწმუნებს, რომ იმისთანა ვაშლის ხე არის,
რომელსაც თავის დღეში ვაშლი არ ასხია.

სანდრომ გადიხარხარა.

— აი, შე ჯაკუის კოლოფო!—უთხრა დათას. ამ ვაშ-
ლის ხეს იმიტომ არ ასხია, რომ ჯერ ახალგაზდაა,
ნორჩია; მებაღე ამბობს, რომ მერმის ესენიც ვაშლს მო-
ისხამენო.

— ვაშლის ხე რამდენ ხანს შემდეგ მოისხამს ხოლ-
მე?—არ იშლიდა კითხვას ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კითხვაზე სანდროსაც გაუჭირდა პასუხის მიცემა.

— აგრე მალე არ მოისსამს... უნდა რამდენიმე წელიწადი გავიდეს.

— არც მაგან იცის ბევრი,— წამოიძახა პატარა მარომ,— სჯობია ვკითხოთ ჩვენ უფროს დას, თალიკოს, იმან ხეხილის აძბავი ყველაფერი კარგათ იცის.

ცოტა მანძილი გაიარეს თუ არა ქალაქელმა ბავშებმა, კიდევ გასაკვირველი რამ ნახეს. ბაღის ერთი ადგილი მთლათ მოფენილი იყო თავ გადაჭრილ ხეებით, რომლების ზოგიერთი ტოტები ჩვრებით შეხვეული იყო.

— ეს ნამეენი ვაშლის ხეებია!— წამოიძახა ცელქმა მარომ და დაუბერა გაქცევა.

— როგორ ნამეენი? რათ შეუკრავთ აგრე?— იკითხა სწრაფათ ვანომ.

— თალიკოს ჰკითხე, მე არ ვიცი, თალიკომ იცის. აბა, გავიქცეთ, ვინ ვის გაასწრებს!— დაიყვირა მარომ, გაიქცა და ყველანი უკან გამოუდგენ.

ემაწვილები სირბილის დროს შეეფეთენ თალიკოს, რომელსაც ორი დიდი კალათა ეჭირა ხელში.

— ემაწვილებო, წამომეევით, ვაშლი წამოვიღოთ,— უთხრა თალიკომ.

პატარა ხანს შემდეგ ორივე კალათა ჰირამდის აავსეს და მუშებმა წაიღეს დერეფანში. აქ თალიკომ დაბლა ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგზე მოიკეცა, შემოისხა ეძაწვილები და დაიწყო ვაშლის გადარჩევა.

— აი, ეს კიტრა-ვაშლი მჟავეა, აქეთ მოაგროვეთ, ტკბილი ვაშლი კი ამ კალათაში ჩაგვაროთ—მაგას აბილაურს ეძახიან. შეხედეთ, რა თურაშაული ვაშლია! ახალწელიწადს რა სიამოვნებით შევექცევით!

კატო და ვანო ეურებ გაცქვეტილი იცქირებოდენ.

ვანომ ვერ მოითმინა და ისევ ჩვრებით შეკრულ ტოტებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. თალიკომაც შემდეგი უპასუხა:

— გაგეგონებათ, რომ ეველა ვაშლის ხე ჩვენ ბაღებშიაც და ტეებშიაც თესლზე ამოდის. სანამ თესლიდან ხე გაიზრდება, კარგა ხანი გადის, ამიტომაც მებაღე ტეში ამოარჩევს ხოლმე ახალგაზდა ვაშლის ხეებს და ბაღში გადმორგავს. ტეის ვაშლი ხომ წვრილი და მჟავეა. ერთ წელს შემდეგ, როდესაც გადარგული ვაშლის ხე დაისვენებს, კარგა იხეირებს, მაშინ ხის წვერებს გადაჭრიან, მოჭრილ თავებს გაპობენ და იმ გაპობილში ჩასმენ კაი ჯიშის ვაშლის ყლორტს. ამას ეძახიან მენობას... გაპობილი შტო რომ არ გახმეს, ზედ დააგლესენ ხის ფისს, წმინდა სანთელში აზელილს და ჩვრებით შეჭკრავენ. ყლორტი უხორცდება ტოტსა და როდესაც კარგა გაიზრდება, მოისხამს იმ გვარ ვაშლს, როგორიც ამენეს.

— რამდენ ხანს შემდეგ მოისხამს ვაშლი?—ჰკითხა ვანომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვეულებრივ სამ წელს შემდეგ,—უთხრა თალიკომ.

— მერე რათ არჩევთ მაგ ვაშლებს?—დაეკითხა კატო.

— ზოგი ზამთრის ვაშლია. აი, ვთქვათ, თურაშაული ვაშლი დიდხანს შეინახება, ორმოში უნდა ბზე გავუშალოთ, ზემოდან, ბზეზე, ვაშლებს დავაწყობთ, გვერდებზე და ზემოდან კიდევ ბზეს დავაყრით, მერე კიდევ ვაშლებს ჩავამწკრივებთ და ამ რიგათ ბლომათ შევინახავთ. დღესასწაულები რომ მოვა, მეტადრე ახალწელიწადი, ორმოდან ამოვიღებთ ისეთ წითელ ვაშლებს, რომ იტუვით—ახალი დაკრეფილიაო. ხომანდული ვაშლი კი, რომელიც მოდის ყველაზე ადრე, ეინვარი შაქარსავით ტკბილია და თუ მალე არ გავასაღეთ, არ ინახება. აბილაური ვაშლიც ტკბილია; იმისას და კიტრა ვაშლისას ჩირს აკეთებენ, ხომ გიჯამიათ ვაშლის ჩურჩხელა და ჩირი. ვაშლს დასჭრიან ჰატარ-ჰატარა ნაჭრებათ, დააწყობენ ხონჩაზე და გაახმობენ ჩირათ. ჩურჩხელისთვის ჩირს მაფზე ასხამენ და თათარაში ამოავლებენ. წნილათაც იციან ვაშლის ჩადება. ვაშლიდან არაყსაც ხდიან. მარომ იცის კიდევ, ვაშლისას რას აკეთებენ. აბა, თქვი, მარო!

— ვაშლს შეწვამენ ხოლმე ცეცხლზე: შეახვევენ სველ ქაღალდში და წაფლავენ ნაღვერდალში. შაქარ მოყრილი მალიან გემრიელია,—გამოაცხადა მარომ ტუჩების ლოკვით.

— კიდევ რა იცი, მარო, ვაშლისას რას გააკეთებენ? ეკითხებოდა თალიკო.

— მე კი „კომპოტის“ გაკეთება ვიცი!—წამოიძახა ტაშის კვრით მარომ,—უნდა მეავე ვაშლი გავთალოთ, გული ამოვუღოთ და დიდრონ ნაჭრებათ დავჭრათ, შიგ თითო მიხაკი ჩავურჭოთ, მერე შაქარწყალი მოვადუღოთ, ცოტაოდენი ღვინო დავუმატოთ და როცა წვენი მოიწევა, დაჭრილი ვაშლი ჩავეაროთ და ერთი ჰირი წამოვადუღოთ. გინდათ ახლავე მოგიხარშოთ, წავიდეთ სამზარეულოში.

— მეც ჩემი საქმე გავათავე. მიშველეთ ვაშლების შეტანაზე საკუჭნაოში და ისე გაჭეკვით მაგას. ვაშლი თან წაიღეთ, შაქარსა და ღვინოს მე მოგიტანთ.

ემაწვილები სიხარულით გაიქცენ სამზარეულოში. ზოგმა ვაშლის თლა დაიწყო, ზოგმა ცეცხლის გაჩაღება. დათაც კი შველოდა, თავის ერთ თვლიან თროკიალათი ზიდავდა ნაფოტს.

— მერე რა სიამოვნებით მოვუსხდებით საჭმელათ მაგ ტკბილეულობას! გახარებული იქახდენ ემაწვილები.

ან. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი და გველი

(სპარსელთაგან გაგონილი იგავი)

ერთი გლეხი, მხარზე თოხ გადებული, სამუშაოთ მიდიოდა. შარა გზაზე რომ ჩავიდა, გაძრიელებული ჭიაკოკონა დაინახა. თურმე მეხრეებს ბუჩქებში გველი დაეჭირათ და ტეტხლში დაწვას უპირებდენ. გლეხს გველი შეეცოდა, ბიჭებს გაუჯავრდა და გველი სიკვდილს გადაარჩინა. გველმა გლეხს დიდათ დაუმადლა—სამაგიეროს გადაგიხდიო, მითხარი რაც გულით გინდა და აგისრულებო.

— რაღა უნდა მინდოდეს, —უთხრა დაღონებულმა გლეხმა, ხომ ხედავ ჩემს სიღარიბეს, ამ დაკონკილ ტანისამოსის მეტი არა მაბადია რა.

გველმა პირობა მისცა—სიღარიბისაგან დაგიხსნიო. მერე გლეხი დაარიგა: ამა და ამ ადგილს ოთველ დილით მოდი ხოლმე და თითო ოქროს მიიღებო.

გლეხმა იფიქრა: ასე უცბათ თავზე ბედი საიდან დამატედაო... მაინც არ დაიჯერა, უგულოთ, ცალებივ მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა გადაუხადა გველს. მაგრამ მეორე დღეს დანიშნულ ადგილს რომ მიეიდა, გლეხს შრიალი მოესმა და სახტათ დარჩა. გველი სრიალით, მხიარულათ მიეგება გაოცებულ გლეხს, მერე კუდზე შედგა და ჰირით ერთი ოქრო მიაწოდა.

ამგვარათ გველი მუდამ ასრულებდა დაჰირებულს და თავის მხსნელ გლეხს ოთველ დილით თითო ოქროს აწვდიდა. ამ წყალობით გლეხი ცოტა რომ მოდონიერდა და ფული ხელთ იგდო, მოისურვა, როგორც მართლ-მორწმუნე მაჰმადიანმა, მექაში წასვლა მაჰმადის საფლავის თაყვანის საცემათ და სალოცავათ; მაგრამ ამასთანავე, რომ არ მოსჰობოდა გველის ოთველ დღიური საჩუქარი, დაუბარა თავის უფროს შვილს, განეგრძო გველთან სიარული. შვილი მამაზე თვალ-ხარბი გამოდგა, მოისურვა ერთბაშათ გამდიდრება. ერთი-ორი დღის სიარულის შემდეგ იფიქრა: „მოდი ამ გველს მოვკლავ და რაც ოქროები აქვს, სულ ამოვაცლი მუცლიდანაო“. ამ მოსაზრების ასასრულებლათ ერთ დილას გაემგზავრა ჩვეულებრივ გველთან და როცა ეს უკანასკნელი ჰირით ოქროს აწვდიდა, გლეხის შვილმა მოუქნია ხანჯალი მოსაკლავათ, მაგრამ ხანჯალი ცუდათ იეო მომარჯვებული და გველს მხოლოთ ოდნავ კუდი წააგდებინა. სამაგიეროთ, გამწარებული და გულ-ნატკენი გველი მიეარდა გლეხის შვილს, დაკბინა და ბუჩქებში მიიმალა. დაშხამული გლეხის შვილი გაიგუდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მოკვდა. როცა მამა დაბრუნდა მექიდან, გაიგო: მი-ზეზი შვილის სიკვდილისა და გამოგლოვების შემდეგ, მივიდა გველთან და სთხოვა მველებურათ განგრ-ძოთ მეგობრული კავშირი; მაგრამ ახლა გველმა გლეხის თხოვნა შორს დაიჭირა და უპასუხა: ,,ტუილი არ არის, შენ იმას არ დაივიწყებ, რომ შვილი დაგიშხამე და მეც— შენი შვილის მიერ მოკვეთილ კუდსა და არა სჯობია ახ-ლავე მშვიდობით გავშორდეთ ერთმანეთსა''-ო. და მართ-ლაც, ამას შემდეგ გველი აღარც კი სჩვენებია თურმე ორ გზის გულ-ნატკენ გლეხს.

გ. ახალციხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრუხების ბრძოლა ქორთან

(ბუნების მეტყველებიდან)

ერი კრუხი გამოვიდა საქათმიდან და თან გამოიყოლა ოციოდე მოჩიტული წიწილა. გადაიარეს კალო და შეესივნენ ნაფუზარსა, სადაც საკენკი ბლომად ეგულებოდათ. მშვენიერი მზიანი დღე იდგა და კრუხ-წიწილები მხიარული კრიხინით და წივ-წივით ჭექქავდნენ მიწასა, ჰოულობდნენ მარცვლებსა და ჭია-ღუასა და სწრაფად გზავნიდნენ ჩინჩახუში.

უცებ ეს მეუდროება დაირღვა და ერთი ალიაქოთი ასტედა. რა მოხდა? საიდგანღაც გაჩნდა წეული ქორი.

ამ ორს დედალს წინეთაც არა ერთხელ დასცემია ქორი, და ისინი გულ-გახეთქილები გაქცეულან და დამალულან ან საქათმეში და ან სხვა შენობაში. და ან რა უნდა ექმნათ საწყლებსა? ქათამს არც მჭრელი ნისკარტი აქვს, არც ბასრი ბრჭყალები ასხია, არც ღონიერი ფრთების ჰატრონია. ერთი სიტყვით საწყალი, სუსტი, უიარაღო სულდგმულია. ქორს ახლაც იმედი ჭქონდა კრუხები გამექცევიან და მათ წიწილებს ღონივრად მივამღებიო; მაგრამ ანგარიში გაუცრუვდა. წინედ მარტონი ყოფილან ეს დედლები, ახლა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან თავისი საუკეთესო წიწილები ჰყავდათ. ამიტომ ბევრ-ნები არამც თუ არ გაექცნენ ქორსა, მაძაცურად წინ მოექცნენ წიწილებს, გაშალეს ფრთები, დაიგძელეს კისერ-ნი-სკარტები და მოემზადნენ თავ-განწირულის ომისათვის.

ქორმა დაუქროლა კრუხებსა და გაჩნდა ბრძოლა ღონიერისა უღონოებთან, იარაღიანისა უიარაღოებთან, მარჯვესი უხერხულებთან. ქორი სცემდა კრუხებს თავისს მწვეტიანს და ღონიერს ნისკარტსა, აგლეჯდა ხორცს ტანზე თავისი ბასრი ბჭყალებით, თავისი ღონიერი ფრთების ცემით არეტიანებდა. არც ერთი ეს ვნება კრუხებს არ შეეძლოთ მიეყენებინათ მტრისათვის და არც სცდილობდნენ ამასა. სამაგიეროდ, საოცარი შეუცდომლობით მისდევნენ სუსტს მხარეს ქორისასა და სწორედ ეს მხარე ამოიღეს მიზანში. კრუხებმა იგრძნეს, რომ ერთად ერთი ასო ქორისა, რომლის ვნებაც მათ შეუძლიანთ თავისი სუსტი იარაღით, არის თვალები და თავისს ნისკარტს მხოლოდ ამ თვალებში უმიზნებდნენ, — უმიზნებდნენ ისეთი სიმარჯვით და დაჟინებით, რომ კაცს გაოცებდა.

ქორმა დაგლიჯა ერთი კრუხი და სიკვდილამდინ მიიყვანა; მაგრამ დაგლეჯილმა სწორედ უკანასკნელი წუთის წინედ მოასწრო, ჩაჭკრა თავისი ნისკარტი ქორს შიგ შუა თვალში, ამოჩიჩქნა და შემდეგ უსულოდ დაეცა მიწაზე. ცალთვალა ქორი ახლა მივარდა მეორე კრუხსა, რომელმაც თავ-განწირული ქომაგობით გაუადვილა თავისს ამხანაგს თვალი ამოეჩიჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნა მტრისათვის. ამასაც წეეულმა მტაცებელმა ტანი რამ-დენსამე ადგილას დააგლიჯა და დაუსისხლიანა. ბოლოს თავისი ბასრი ნისკარტი დაუმიზნა შიგ თავში, და თუ ჩაეკრა, უთუოდ დაარეტიანებდა და მოჰკლავდა. მაგრამ სწორედ ამ დროს იხერხა კრუსმა და თავისი ნისკარტი ჩასცხო ქორს მეორე, სადს თვალში, ამოუჩიჩქნა, სრულიად უსინათლო გახადა და ბოლო მოუღო ბრძოლასა.

საზარელს სანახავს წარმოადგენდა ბრძოლის ველი. ერთი კრუსი მოკლული ეგდო და მეორე სისხლისაგან იცლებოდა; არა ნაკლებ უბედურს მდგომარეობაში იყო ორივე თვალით დაბრმავებული ქორი, რომელიც საცოდავად ფარფატობდა და სან აქ გადაივლიდა ყირამალა, სან იქა.

მშვიდობით გადარჩენილი წიწილები ერთად მოგროვილიყვნენ, საცოდავი სმით გასწიოდნენ და გლოვობდნენ თავიანთ თავ-დადებულს დედებსა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს მათ და ამითი დაუტევეს ანდერძი, რომ მათაც თავისი ჩამომავლობა ჰყვარებოდათ თავ-დავიწყებული სიყვარულითა.

იაკობ გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო სანთლის თავგადასავალი

(რუსულიდან)

ოთახში შანდალი შემოიტანეს, შიგ გაკეთებული იყო ახლათ ჩამოსხმული თეთრი, სუფთა და ლამაზი სანთელი. სანთელი მხიარულათ გამოიყურებოდა და გარშემორაც ხდებოდა, ყველაფერი ახარებდა მას.



სანთლის მხიარულებამ დიდხანს არ გასტანა: დაბინდდა, დაბნელდა; მივიდა კაცი სანთელთან, გაჭრა წუმწუმას, გამოჩნდა ცეცხლი, მოუკიდა სანთლის ჰატრუქს... დახეთ უბედურებას!.. საბრალო სანთელმა იგრძნო, რომ მის თავს ცეცხლი წაეკიდა.





გაიარა მწუხარე საათმა... საბრალო სანთელი საშინელი ტანჯვით ნახევრამდის დაიწვა. არავის არ ესმოდა მისი ოხვრა, არავის არ ესმოდა მისი ყვირილი: მიშველეთ, ვიწვი-ვიდაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიო! ცეცხლის ალი უშსამებდა სიცოცხლეს, ადნობდა ში.

გაიარა კიდევ მთელმა საათმა... უფრო საშინელმა, უფრო მწვავემ... ახლა სანთლის მესამედი-ღა იყო დარჩენილი. საბრალო სანთელი თითქოს ცრემლებს აფრქვევდა, ღვრიდა. გულ-ქვა ხალხი კი ამბობდა: აგერ სანთელი საცაა ჩაიწვებაო!..



დადგა უკანასკნელი წუთი... საბრალო სანთელი სრულებით ჩაიწვა, მხოლოთ ჰატრუქს ეკიდა კიდევ და კვამლი დატრიალდა ოთახში.

ბოლოს ჰატრუქიც შანდალში ჩაგარდა, ერთ-ორჯერ გამოანათა და შიშინით გაქრა... საბრალო სანთელი აღარ იყო! გულ-ქვა ხალხი ცხვირზე ხელს იფარებდენ და ამბობდენ: ამ სანთელმა რა საძაგელი სუნი დააყენა, ააკვამლაო.

ან. წ—ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლული ვირი

ვენთვის მეტათ სასარგებლო ცხოველს, დაუღალავ მშრომელს, ვირს, სრულებით უსამართლოთ ხმა გაუტეხია. მერე ვინ გაუტეხა ხმა და სახელი თუ არ ისევ უმადურმა ადამიანმა: „ვირი უჭკუო და უგუნური არისო, სულ გულ ჩათხრობილი დადის, ზანტი და გაქირიც იცისო. რას ბძანებთ! რასაც ჩვენ ვირსა ვცემთ, ვტეხავთ და უდიერათ ვექცევიო; რასაც ვირი ჩვენს ხელში საშინელ ჯაფას იტანს კიდევ კარგი რომ ან ის ჭკუა-ღა შერჩა. საბრალო ვირს ან რა მოვლა აქვს, ან რა ჭამა და სმა. რამ უნდა გაამხიარულოს ან რამ უნდა გახადოს მორჩილი და ხალისიანი? კეტით და უდიერ ცემა-ტეხით განა შეიძლება გონიერი ცხოველის დამორჩილება? რასაკვირველია არა და ვირმაც ამიტომ იცის გაქირი და ჯიუტობა.

ევროპაში ვირი ძრიელ უყვართ და მეტადრე ბავშვებისა დიდი მეგობარია. ბევრი მდიდარი ოჯახი ინახავს სახლში ვირს თავიანთ ბავშვებისათვის, კარგ ჰატივს, მოვლას და ადამიანურ ქცევას მეტათ დიდი რამ შესძლებია. წარმოიდგინეთ რომ ასეთ ჰატივში ჩავარდნილი ვირი ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზიც არის, მხიარულიც, გონიერიც და შეხედულობითაც წამოსადეგი და ახოვანია, საქმეში მიხვედრილია. ძრიელ მორჩილი და გამგონი და თუ უპატიურათ არავინ მოექცა გაქირი სრულებით არ იცის.

ჯონ ლეო ერთ ძველ ამბავს მოგვითხრობს, რომელიც ამტკიცებს, თუ ვირი რამდენათ გონიერია და როგორ ადვილია მისი გაწვრთნა.

— „კირში ერთ მეიდანზე ხალხი ბლომათ მოგროვილიუო,—ამბობს ჯონ ლეო—მეჩეთში მოლამ რომ ლოცვა გაათავა, მლოცველებიც ყველა იმ მეიდნისკენ გაეშურა. მეც ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა, წავედი და შემდეგი სურათი ვნახე: მაწანწალა ჯამბაზები ათამაშებდენ ნასწავლ აქლემს, ვირს და მოცეკვავე ძაღლებს, მაგრამ ყველას ყურადღება ვირმა შეიპყრო და აი რათა: პატრონმა უთხრა ვირს: ჩვენ დიდებულ სულთანს მოსურვებია თავისთვის უზარ-მაზარი და საუცხოო ხელოვნების ახალი სასახლე აიშენოს და ფირმანი გამოუცია, რაც მის საბრძანებელში ვირი მოიპოვება ყველა მირეკონ და მასალა აზიდვინონ:—ქვა, ქვიშა, აგური, კირი და სხვაო. კაცმა ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ ვირს უეცრივ წაუვიდა გული და ზურგზე ტყაპანით დაეცა; გადიგდო საცოდავათ თავი, დახუჭა თვალები, გაჭიმა ფეხები—მოკვდა, მოკვდა უბედური ვირი. თავზარ დაცემულმა ვირის პატრონმა თეფში გაუშვირა ხალხს და ეღრიჯებოდა: შემიბრალეთ ბატონებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთათ ერთი ჩემი იმედი, ჩემი მარჩენელი, მხნე და ვაჟკაცი ვირი მომიკვდა და გთხოვთ მაჩუქეთ რამეო. როცა ხალხს ფულები დასტეუა, მაშინ გამოაცხადა:—არა, ბატონებო, ჩემი ვირი არ მომკვდარა, ამან იცის ჩემი სიღარიბე და გაჭირვება, ამისთვის შემიბრალა და თავი მოიმკვდარუნა, ეგებ ხალხმა ჩემ ჰატრონს რამე უწეალობოსო. მერე ჰატრონმა დაუძახა ვირს, ადექიო. ვირმა კუდი არც კი შეანძრია. გაჯავრებულმა ჰატრონმა ჯოხით ცემა დაუწეო,—ახლა კი ადექი ვირო, თორემ მოვიდა შენი ადსასრულის დღე,—მოგკლავ ცემითაო, ვირი მაინც არ შეინძრა. ჰატრონს რომ საქმე გაუჭირდა, მოიტანა სულთანის ფირმანი და ვირს შემდეგი წეალობა წაუკითხა: „რაც ჩემ საბრძანებელში ვირები არიან, ხვალვე ჩარეკეთ ნილოსის მდინარეზე, ანკარა წეალი ასვით და რჩეული ქერი აჭამეთო და ვინც ამ ბრძანებას არ ასრულებს ვირის ჰატრონები სასტიკათ დაისჯებიანო!! ვირი იმ წამსვე წამოხტა სტუნვა კუნტრუშით და ხალხი ბევრი აცინა.

აი, კიდევ რა მიამბო ერთმა ჩემმა ნაცნობმა: ცირკში ვიეავით და გათავების დროს ერთმა ცირკის მასხარამ ნასწავლი ვირი გამოიეანა. ათასნაირათ ათამაშა, ხან ჰოლკა, ხან ვალსი, ხან რომანსები ამღერა წვრილ და ბოხი ხმით შეზავებული და ბოლოს უთხრა: ყველას თავი დაუკარ და გამოეთხოვეო. ვირმაც მაყურებელ ხალხს მდაბლათ თავი დაუკრა და გაეშურა შინისკენ, ამდროს ცირკის მასხარამ შენიშნა, რომ მაყურებელთა შორის ერთი ჰოლკოვნიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდა, მოაბრუნა ვირი და უთხრა: აბა ღენერალს „ზეცვირითა“ მიეცი.



გაჩერდა ვირი, მიიხედ მოიხედა, გაარჩია ჰოლკოვნიკი და იმის წინ შედგა ორ უკანა ფეხებზე, წინა ერთი ფეხი შუბლთან მიიდო და როდესაც ჰოლკოვნიკმა სიცილით ხელი დაუქნია, ვირი სისარულით გაკუნტრუშდა თავის ბინისკენ.

ი. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტე ქორწილში

ერანას ქალაქში ერთ კაცს ქორწილი ჰქონდა. დიდი წვეულება გამართა და, რადგან ის კაცი ქრისტეს კარგათ იცნობდა, ამიტომ ის და დედა მისი მარიამი ქორწილში დაჰპატიჟა. ქრისტეც ეწვია.

დიდი ლხინი გაიმართა. სტუმრები გამხიარულდენ და ღვინის სმა გამართეს. მაგრამ აკი მასპინძელს ღვინო შეამოაკლდა! მასპინძელი ძლიერ შეწუხდა და არ იცოდა რა ექნა.

ეს ამბავი ქრისტეს დედამ მარიამმა გაიგო და ჩუმათ თავის შვილს უთხრა: „შვილო! მასპინძელს ღვინო შეამოაკლდა!“

ქრისტემ, თითქო ეურადღება არ მიაქცია, დედას ასე უპასუხა:—„ჩვენ რა ვუყოთ მერე!“

მაგრამ ღვთის-მშობელი დარწმუნებული იყო, რომ ქრისტე უშველიდა გაჭირვებულ მასპინძელს და ამიტომ უბრძანა მსახურებს: „რაც კი გიბრძანოთ ქრისტემ, აღუსრულეთო“.

ცოტა ხანს შემდეგ ქრისტე აბრძანდა და აივანზე გავიდა. სახლის კარებთან ექვსი ცალიერი კოკა დაინახა. დაუძახა მოსამსახურეებს და უბრძანა, კოკებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი ჩაასხით, აავსეთო. მსახურთ იმ წამსვე აღასრულეს მისი ბრძანება.

ქრისტე მიუახლოვდა წყალით სავსე ჭურჭლებს და აკურთხა; მერე ბრძანა: ამოიღეთ ჭურჭლებიდან წყალი და სტუმრებს მიართვითო.

მოსამსახურენი ჯერ ეოუმანობდენ, მაგრამ რაკი შენიშნეს, რომ წყალი ღვინოთ გადაქცეულიეო, სისარულით ამოიღეს და მიუტანეს სტუმრებს.

სტუმრებს ღვინო ძლიერ მოეწონათ, გაუკვირდათ და მასპინძელს უსაყვედურეს:

— ეს რა ჰქენი, მასპინძელო? ჯერ ცუდი ღვინო გვასვი, ახლა კი, როცა დავითვერით, შენიერი ღვინო მოგვიტანე!

მაგრამ მასპინძელმა თვითონაც არ იცოდა, საიდან გაჩნდა ეს შენიერი ღვინო. ბოლოს კი ეგეულამ გაიგო, რომ ქრისტეს წყალი ღვინოთ გადაექცია, გაუკვირდათ და თაყვანი სცეს მას.

ეს იეო პირველი სასწაული იესო ქრისტესი.

გ. წულტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტვირე

ოგავი

მდიდარი კაცის ეზოში შევიდა მესტვირე; მოძართა სტვირი, დაუკრა და დამღერა ზედ.

— დაგნატრი, ძმაო, უთხრა მესტვირეს მდიდარმა, — რომ შენ სიცოცხლეს ასე სიმხიარულეში ატარებ: სულ უკრავ და მღერიო.

— ბატონო ჩემო! მიუგო მესტვირემ: ჩემისთანა სიმხიარულე ღმერთმა შენ გაშოროს და შენ მტერს კი ნუ დაულიოს.

— როგორაო?

— გაჭირვება და სევდა მამხიარულებს, დაკვრითა და სიმღერით ლუკმა პურს ვშოულობ და მით ცოლ-შვილს ვარჩენ; სტვირის მიტოვება და ჩემი ცოლ-შვილის შიმშილით ამოწყვეტა ერთი იქნებაო.

ალ. მ—შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ე რ ხ ვ ი.

I.

ართოთ მარტოკა იდგა ერთ მწირს გორაზე; მის ახლო-მახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო, ხოლო შორს, გალმა, მოჩანდა დიდი, დაბურული ტყე. ქვეით ჭალაზე, მთა ფერდობებზე, გალმა-გამოლმა მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა,—ათასი, ათასნაირი ჯურისა. საბრალო ვერხვის ახლო კი ერთიც არა. გასცქეროდა შორიდან ტყეებს და ილეოდა სულით; იქ ვერხვებსაც ჰხედავდა, უფრო იმათკენ მისწევდა გული. მას შემდეგ, რაც გაჩნდა და გაიზარდა, ვერხვი ხეს აღარ დაჰლაპარაკებია, მხოლოთ თავის თავს ელაპარაკებოდა, ესაუბრებოდა აგრეთვე ღმერთს ემდუროდა: „ეჰ, შე დალოცვილო ღმერთო, თუ გამაჩინე კიდეც დამარჩენდიო“, ამას იტყოდა ხშირათ: „რასა ჰგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, რას ვაკეთებ ამ ფრიალო მთაზე მარტოთ მარტო? თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის გავახარებ და თვითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?!.“ ბევრჯელ ეცადა დაეძახნა და ბევრჯელაც დაუძახა შორს, მთის კალთაზე თეთრათ მომჩინარს ვერხვებს: „ეი, ძმებო, წამიყვანეთ თქვენთან, თუ გრწამთ ღმერთი, ან აქ ჩემთან წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, აქ მაღლა იქნებით, აქედან ბევრ კარგ რასმე დაინახავთ, აგერ ქალაქი, მრავალი სოფლები, აგერ ტბა და დიდრონი თოვლიანი მთები!.. მშვენიერ სანახავს ჰნახავს თქვენი თვალები; — მანდ მხოლოთ ჯურღმულს ჰხედავთ, სხვა არაფერს!..“ ნიავს მთისას ხომ მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა, როცა იგი ჰქროდა და მის კოხტა, მოხდენილ ფოთლებს აცახცახებდა და ათრთოლებდა: „შენიჭირიმე, ერთი უთხარი, შემახვეწე ვერხვებსა, რა არის, რომ ამოდენას ვეხვეწები და ისინი კი ყურს არ მიგდებენ, ერთხელ ვერა მნახეს, ვერ ამოვიდენ ჩემთან!“ ნიავი მიდიოდა, გაივლიდა სისინით, შრიალით, გამოივლიდა ისევაც, ხოლო პასუხი არაფერი მოჰქონდა; ავიწყდებოდა დანაბარების თქმა, თუ ამბის მიტანა ეზარებოდა, არაფერი იცოდა ვერხვმა. ვერხვმა თავის თანამოძმეებისა სხვა ვერაფერი გაიგო; ამ რამდენისამე წლის წინეთ ქარმა იმ შორეული ტყიდან მოიტანა ერთი ხმელი ფოთოლი და ის იყო უნდა გაეცილებინა ვერხვისათვის, მაგრამ ვერხვი მთელი თავის სიგძე-სიგანით გადიზნიქა, მოჰხვია მაგრა ტოტები ხმელ ვერხვის ფოთოლს და მაგრა ჩაიკრა გულში; დღესაც ინახავს მას და გველის თვალივით უფრთხილდება. ამ გვარ საჩუქარს—ხავსს, ხმელ ფოთოლს, ტოტს თვალ-გულ დამშეული კიდევაც მოელის. დღეს კი ერთათ-ერთი ხმელი ფოთოლია იმის ნუგეში, იმას ეალერსება, იხუტებს გულში, ჰკოცნის, ესაუბრება, მაგრამ საბრალო ფოთოლი პასუხს ვერ აძლევს. როცა ქარი ამოვარდებოდა, ყელ-გადაგდებული დაღრეჯით ეხვეწებოდა: „ქარო! შენ გენაცვალე, ვინძლო ერთი ტოტი მოტეხო აგერ იმ ვერხვებს და აქ წამომიღო, ან ერთი ფოთოლი მაინც კიდევ...

შავი ნისლი მთის ქედზე გველ-ვეშაპივით მოცურავს უდარდელათ, შეუპოვრათ. თავს უხრის და ეხვეწება ვერხვი: „ნისლო, გეთაყვა, შენ, ხომ ვიცი, არ დაგამძიმებს და ჩახვალ ქვევით ხევში, მოგლიჯე ერთ-ერთი ვერხვი ფესვებიანათ და აქ ამომიტანე!..“

როცა საშინელი ქარიშხალი ამოვარდებოდა, დელგმა იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭექა-ქუხილი ისეთი, რომ კაცს ეგონებოდა ქვეყანა იქცევაო, და თვით ვერხვიც ელვა-მეხის ნაპერწკლებში იყო გახვეული, რაიც ხშირათ ხდებოდა, მაშინ ვერხვი ემუდარებოდა საშინელ ბუნების მოვლენას: ამომფხვერი აქედან და გადამაგდე იმ ჩემ ძმებთან, ტყეში; დეე იქ მოვკვდე, იქ დავლპე, დავმიწდე იმათ კალთაზე; თუ ცრემლს არ მაღირსებენ, ქოქოლას ხომ დამაყრიან და დამწყევლიანო". მაგრამ არც არა ამ თხოვნიდან გამოვიდა: ვერხვი იქვე ადგილობრივ იდგა, მეხისაგან ტანზე მრავალგან დაზიანებული.

II.

ზაფხულობით, თუმც ციდან მრავალი ვაება ატყდებოდა თავზე ვერხვს, მაგრამ მაინც ცოტა მხიარულათ იყო: მისი მიდამო აყვავდებოდა წითლათ, ყვითლათ, თეთრათ; მწვანეთ აბიბინდებოდა ბალახი; საბრალო ვერხვი შეჰხაროდა ყვავილების სიცოცხლესა და სილამაზეს. ზამთრობით ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მარის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით, არწებდა აკვანივით და ხშირათ ისეც მომხდარა, რომ სრულიადაც მიენამქროს, ვერხვის მხოლოთ კენწერო-ღა დარჩენილა, პატარა მისი ტოტები თოვლს დაუკერებია მიწაზე, ოთხი-ხუთი თვე შებორკილი, შებოჭვილი ყოფილა ვერხვი, ცოცხლათ დამარხული თოვლ ქვეშ.

ზაფხულობით კი თითონაც ფოთლებით იმოსებოდა, წვიმა ხშირათ ჰბანდა და ალამაზებდა მის ტანსა და პირისახეს. ვერხვს ერთი დარდი აქვს კიდევ, რომლისთვისაც თავი ვერ დაუხწევია ვერც ზამთარში, ვერც ზაფხულში: ერთ ზამთარს ვერხვი მიუნამქრავი დარჩა და მთელი ზამთარი თვალ-ახილებული დასცქეროდა მთა-ბარს, ტყეებს. ყველაზე მეტათ უყვარდა და მოსწონდა ერთ ადგილას მწკრივათ მდგომარე ვერხვების ჯგუფი, მუდამ იმათ შეჰხაროდა და დღეს კი იმათთვის გული სტკივა და ცრემლსა ღვრის. იმავე ზამთარში მოვიდა დიდი ზვავი და მთელი გუნდი მისი საყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი ვერხვებისა გადმოთელა, დღეს გაშოტილნი მკვდრები ეწყვენ დაბლა. ზოგი ძირიანათ ამოებრუნა ზვავს და საცოდავათ ჰქონდა აღმა აშვერილი ფესვები. ეს სურათი რომ ნახა, ვერხვს გული მოუკვდა, დღესაც იმასვე ვაებს და ჰგოდებს: „ახ, ახ, საბრალონო, წარმოსთქვამს თვალ-ცრემლიანი: „ჩემები არიან, ჩემი სისხლი და ხორცი; აქ რომ ყოფილიყვენ, ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?! ნეტავი მეც იმათთან მაინც ვყოფილიყავი, რომ მათთან ერთათ დამელია მეც სულიო!..“

III.

ვერხვს უყვარს ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლომახლო რომ იშლებიან და იზრდებიან, ხოლო ვერხვისთვის ეს იყო გულ-საკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა ჰქონდათ. თუმცა ვერხვი მუდამ იმათა ჰლოცავდა, დაჰბუტბუტებდა თავზე: „დაიზარდენით, დაიზარდენით, პატარებო, გაიხარეთ; ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დღეს, თქვენი მარცხი და ზიანი ვნახოვო!“ მაინც ამაო იყო მისი ლოცვა: მაისში აყვავდებოდენ და თიბათვის ორ კვირამდე ძლივ-ძლივობით სძლებდენ, რადგან მოაწვებოდა ბარიდან საქონელი—ცხვარი, ძროხა და ორ დღეზე გადათელავდენ ვერხვის მიდამოსა. ყველასაც უყვარდა ვერხვი, რადგან მოსახედ ადგილას იდგა და იმის მეტი ხე იქ არ მოიპოვებოდა, ამიტომ მწყემსები თავის სამწყემსოთი მის ჩრდილოს ქვეშ ისვენებდენ. ამის გამო ვერ ასწრებდა ვერხვი შეესწავლებინა ყვავილებისთვის თვისი ენა და ესაუბრა მათთან. თუმცა თითონ ესმოდა მათი საუბარი და ეს ადვილი დასასწავლიც იყო: ყვავილნი მუდამ ჟამს სიცოცხლეზე საუბრობდენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდენ და ღმერთს ევედრებოდენ: „ღმერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდხანს გვაცოცხლეო!“ „ახ, რა უქმათ, უმნიშვნელოთ მიდის ჩემი სიცოცხლე! ამბობდა ხშირათ ვერხვი; ისე გავჩნდი და გავიზარდე, ერთი წამი ვერ გავიხარე, ვერავის რა ვარგე! ეს ფრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნველები რაღას მერიდებიან, იმათ რაღა დავუშავე?! ერთს მაინც ჩემს ტოტზე გაეკეთებინა ბუდე და ბარტყები გამოეჩეკა. შესტრფოდა არწივს, როცა იგი მედიდურათ დაჰბრუნავდა თავზე; ვერხვის სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა, თუ არწივი ჩამოეშვებოდა და მის კენწეროზე დაისვენებდა, მაშინ ვერხვის გულში თავ-მოყვარეობა იღვიძებდა და სიამაყე დაეტყობოდა: „უთუოთ ვყოფილვარ რამე, რომ თვით არწივი, მეფე ფრინველთა, მკადრულობს და ჩემ ტოტებზე ისვენებსო. მაგრამ ეს არწივის სტუმრობა იშვიათათ ხდებოდა. ძალიან უნდოდა, ეწადა საბრალოს, რომ არწივს მაზე გაეკეთებინა ბუდე, და მისი მართვების წიწინი გაეგონა, მაგრამ არ მოხერხდებოდა: რა გააბრიყვებდა ისე არწივს, რომ კაცისა და სოქონლის ფეხში ბინა ჩაედგა, თავისი ბუდე, შვილები ქვეყნის საჯიჯგნავათ გაეხადა?!.

IV.

ერთხელ შემოდგომით მთაში თოვლი ადრე მოვიდა. მწყემსებს სიცივით კანკალი მოჰკიდა. „ახ, ცეცხლოვო!“ ყველანი ამას გაიძახოდენ, ხოლო შეშა მთაში ძვირი საშოვარი იყო. უშეშობის გამო დიდი თათბირი შეექნათ: ერთმა სთქვა, ვერხვი მოვჭრათო; სხვებმა იუარეს—როგორ შეიძლება, ცოდვაა მაგისი მოჭრაო. მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდენ პირველს. ამანაც წამოავლო ხელი ცულს და გასწია ვერხვის მოსაჭრელათ. ვერხვი თეთრათ თოვლით გადაპენტილი გაყუჩებული იდგა, არ იცოდა რა მოელოდა მას.

— „მოვიდა, ვერხვო, შენი აღსასრულის დღე, – დაილაპარაკა მწყემსმა: „მართალია, გვიყვარხარ და ამაგიცა გაქვს ჩვენს თავზე, მაგრამ რა ვქნათ, რო სიცივით ვიხოცებით!“ თქვა რა ეს, აათვალიერ-ჩაათვალიერა ვერხვი ერთხელ და შემოჰკრა ცული. ვერხვს აქ ჟრუანტელმა დაუარა ტანში, გაიჩმუჩნა და თეთრათ ბამბის ქულასავით თოვლმა იწყო დაბლა ჩამოდენა. მწყემსი ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა განზე გადგა, მინამ ბარდანი ჩამოიკრიფებოდა. მეორეჯერ მე-მოჰკრა ცული უფრო ძლიერათ, ბარდანმა ხრიალი მოიღო, ვერ-ხვმაც ტოტები აიკრიფა მაღლა, წელში გასწორდა, თითქოს მტრის დასახვედრათ ემზადებაო და წარმოსთქვა გულ-მტკივნეულათ: „ეჰ, მორჩა ჩემი უმადლო სიცოცხლეო“! გასცქეროდა ტყეებს და ემ-შვიდობებოდა: „მშვიდობით, ძმებო, მშვიდობით, ცოცხალს არ მეღირსა თქვენთან ყოფნა, ეგები მკვდარს მაინც მეღირსოსო“! სთქვა რა ეს, დადუმდა, ხმა, კრინტიც არ დაუძრავს, ხოლო ჰაე-რში ცულის გაჩქარებული ჩქამი ისმოდა.

ნახევარ საათს შემდეგ ვერხვი დაბლა ეგდო ვაშოტილი, თავს დასტრიალებდენ მწყემსები: ზოგი ტოტებს აჭრიდა, სხვა მორებს აკეთებდა, ჰკრავდენ გუდურებს და მიეზიდებოდენ ქოხში.

საღამოზე ქოხში დიდი ცეცხლი ენთო, შემათ ვერხვი ერთო, გარშემო მწყემსები უსხდენ, დიდი და პატარა, მკლავ-ტიტვლები, ფეხ-შიშველი ბალღები იხუხებოდენ ცეცხლის ალზე, აგრეთვე მო-ხუცნი, და ყველა კი ამას გაიძახოდა ერთხმათ: „ი-ჲ, რა ცეცხ-ლია, დაგლოცა ღმერთმაო“.

ერთმა მწყემსმა ზღაპარიც დაიწყო: „იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ და სხვ.

ასე გათავდა ვერხვის სიცოცხლე, მოესწრო იგი მადლის ქმნას, მხოლოთ თითონ ვეღარა გრძნობდა საბრალო, თუ მადლ-სა შვრებოდა.

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

I.



არხვა გავიდა. შობაა
ხვალ ქრისტე მაცხოვარისა;
მწუხრისა დაჰკრეს, მოისმა
ხმა სამრეკლოდან ზარისა.
ვინც მინდვრად იყო შინ მოდის,
ღიღინით მოეშურება;
ზოგი კუნძს აპობს, ზოგი ძველ
ღობეებს ეძაძგურება.
აქ პურს აცხობენ, იქ ზელენ,
მკვირცხლად ხმარობენ ღონესა,
რიგი ფიჩხს კუწავს წალდითა
და ავარვარებს თონესა.
შეიქმნა ყველგან მზადება
საკვლეულისა, პურისა,
მარნებში მოხდა ფაქიზად
ქვევრ-ქოცოების, ჭურისა.
წამოაქციეს ტახები
დედები მწარედ ჭყვირიან;
ზოგან აკივდნენ მამლები
ზოგან დედლები ტირიან.

II.

საწყალ ანანოს ცივ ქოხში
არა უდგას რა კერასა,
გულ ჩათხრობილი ზის მარტო,
ემდურის ბედის წერასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის პაწაწინას კერის წინ
ტიტინში ჩასძინებია;
ქორფა ტუჩებზე ღიმილი
ზედ ტკბილად დაჰკონებია.
სიზმარში ხედავს შემწვარ გოჭს,
დედალს, პურ-ნაზუქეულსა,
მამას შინ დაბრუნებულსა,
მთლად სიხარულად ქცეულსა.
თავის პაწია მაროსთვის
კაბაც კი მოუტანია,
მოუკაზმია კოპწიად
და ხელში აუყვანია.
ეფოფინება მარიკოც
მამის ჭალარა წვერებსა,
კისრიდამ აღარ აშორებს
ის ფაცაცუნა ხელებსა.
ელიკლიკება თავის ჭრელ
ვარია-მამლაყინწაზე;
ხან თვალებს ტკბილათ უკოცნის
და ფეხს აღარ სდგამს მიწაზე.

III.

ანანო ისევ ზეზეა,
ძილი არ მოსდის თვალზედა;
ეტყობა მოუსვენრობა
მალი-მალ გარბის კარზედა.
ქმარს ელის შორის გზიდამა
მის გზა-კვალს ალევს ცქერასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობს—მოუვა ნამცივნი,
კიწმაწს უმატებს კერასა.
მაგრამ სად არის, არსად სჩანს,
ღამე კი გადასულია;
ის მაინც ჯერ არ იძინებს,
მაინც მის ყარაულია.
იფიქრა—შემოალამდა
ალბათ იქავე გზაზედა,
ამხანაგებთან თუ მოდის,
ადრე ვერ მოვა სხვაზედა.
ჩვენი მეზობლის ყმაწვილიც
ჯერ ისევ მოსასვლელია,
სვენებით მოივლიან გზას,
თოვლში მგზავრობა ძნელია.
ან იქნებ არც კი მოვიდეს!
ეს კი სულ არა მგონია!
შობა დღეს მოუსვლელობა
აბა ვის გაუგონია?!

IV.

ქარმა კი ამ დროს დაჰბერა
და მკაცრათ დაიგრიალა;
ანანოს ქოხის ბჭე-კარი
ძირამდე შეაზრიალა.
წამონახვეტი ნამქერი
დაკუმშა, დააბზრიალა,
წუწუნით გამოაქნა
და სახლს ზედ მოახრიალა.
რა ღმერთი გიწყენს, რომ მაგრე
არ დაიზუზუნ-შრიალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა ეგ უნდა ჩემს გულსა
ამ დროს, შე ოხერ-ტიალო!
სთქვა წყრომით, თან ბალღს დახურა
გადაგდებული საბანი;
მის გული ფიქრმა წაიღო
და მწარეთ მორთო ბაბანი.
ვაი თუ გზაში მოასწროს
ახლა ამ ნამქრის ტრიალმა
და აურიოს გზა-კვალი
ქარ-ბუქის მკაცრმა შრიალმა.
მაშინ რაღა ვქნა უმისოდ
მთლათ უბედურათ ქცეულმა;
ხომ უნდა ბოლო მომიღოს
მეც ელდამ ანაზდეულმა!
ვის ანაბარათ დავტოვო
მაშინ პაწაწა მარია,
განა აიტანს ობლობას
უჩემოთ—დედა-მკვდარია!
უწინ მზეც დაბნელებია
ჩვენს ავათ მახსენებელსა,
ვიდრე გნახავდეს სოფელი
ობლობისაგან დღე-ბნელსა.
არა მგონია გაგწიროს,
შვილო, შენ ბედის-წერამა;
ამ ქოხში უნდა აღგზარდოს
მშობლის ლუკმამ და კერამა.
სთქვა და შვილს გადაეხვია
ქვითინით, ცრემლის დენითა,
წყნარათ დაუწყო ამბორი
და მოფერება ენითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

v.

ნაჯავრსა, ნამტირალევსა
ანანოს მისძინებოდა;
ქარ-ბუქიც მიკმენდილიყო
დრო სარიჟრაჟო დგებოდა.
მაცხოვრის წინამორბედი
ცაზე ვარსკვლავი კრთებოდა,
ზღვა-ხმელეთს ნათლით მოსავდა
და სოფელს ელიმებოდა.
ტკბილათ ეძინა ანანოს,
მოსვლოდა, ვისაც ელოდა,
თუ წუხელ მწარეთ სტიროდა,
ეხლა აღარც კი სჯეროდა.
ქმარს ესაყვედურებოდა
ღიმილით, ალერსიანათ:
კინალამ დამაგმობინე
სამყარო მთვარე-მზიანათ.
შენს ლოდინსა და ცდაშია
გული მთლათ გადამელია,
ღამე რომ გატყდა, ვსთქვი მაშინ
არ მოვა, უეჭველია.
—მიკვირს, შენ რატო არ გჯერა,
რაც გითხარ, ადამიანო,
მაგრე რათ უნდა ინაღვლო,
როცა მე დავიგვიანო!?
ხომ იცი, კაცს არ ადგება
გარეთ შინ დაბარებული;
ამ სოფლათ განა ყველაა
ნათელ და მირონ-ცხებული?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დამრჩომოდა ქალაქში,
რა ჭირმა წამაწიალა!
არ გახსოვს, სეტყვამ რა გვიყო
და როგორ გაგვატიალა?
სხვას ხომ ვერ მივადგებოდი,
როგორც მთხოვარი კარზედა,
ქურდულათ ხომ ვერ ვივლიდი
ღამ-ღამე საშოვარზედა!
მაშ რამე უნდა მეღონა
მე საკუთარის ჯანითა;
უნდა მერჩინეთ ცოლ-შვილი
ლუკმითა ოფლიანითა.
ავიკარ გუდა-ნაბადი,
მოვძებნე შორი სავალი,
ჭირის ოფლს მოგგვრის, რომ გითხრა
ჩემი თავ-გადასავალი.
მუშათ არავინ მიმიღო,
მითხრეს, არ გამოდგებიო;
ისევ სხვა ქალაქს მიჰმართე,
აქ უბრალოთა ცდებიო.
გინდ ადრე ჩამოსულიყავ,
გინდ სულ ძალიან გვიანო,
მაინც ვერ მიგიწილებდნენ,
ვინც აქ ქუჩებსა ჰგვიანო.
ცეცხლი მომედო გულზედა,
როგორც ნავთი და გენია,
თუ მუშაობაც არ ვიცი,
მაშ რაღა გადამრჩენია!
ახლა სხვა ალაგს მივმართე,
იქაც მივიღე უარი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ კვირას ასე ვიარე,
სიტყვაა მოუტყუარი.

VI.

მე ბედმა სულ არ დამკარგა,
მოიღო ჩემზეც წყალობა,
მაკმარა დედა ქალაქში
სიმშილისაგან მთვრალობა.

ერთ მებატონის დილიჯანს
დავკივი, დავაგრიალებ;
ვიძახი აჩუ-აჩუსა,
რაც შემიძლიან ვღრიალებ.

გარშემო ვუვლი ქალაქსა,
სიგძე-სიგანით ვსრიალებ,
დილიდამ შუადამემდის
ციბრუტივითა ვტრიალებ.

ჩემთვის არც უქმე დღე არი,
დროზე არც ჭამა-ძილია,
გინდ მე ვყოფილვარ იმასთან,
გინდა უბრალო მღილია.

ბატონთან შესვენებაზე
ხმას როგორ გავაჭაჭანებ,
ცხენებს რომ დავცვლი, ცოტა ხნით
მაშინ თუ შევიქაქანებ.

გამტეხა უძილობამ,
ჯანი მთლათ დამიზიანდა;
დღეს აქეთ წამოსასვლელათ
ხვეწნაში დამიგვიანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე შენს კაბას ვიყიდდი,
ან ოჯახისთვის რამესა,
დღე კიდეც გაპარულიყო,
უკვე მოესწრო ღამესა.

ჰა, ეს საკაბე შენია,
ეს კიდევ შენი შვილისა;
ხურჯინში მაროს ელიან
პურები შ ქარ-ტკბილისა.

VII.

გამოელვიძა ანანოს
ღიმილით, სიამ-ტკბილითა,
რაც წუხელ ნახა სიზმარში,
ის ალარ დახვდა დილითა.

შემოსწოლოდა ნაღველი,
თვალები ეცრემლებოდა,
რომ დასცქეროდა პაწიას,
სული და გული სწყდებოდა.

სად იყო მისთვის ან კაბა,
ან კიდევ ფეხ-საცმელები,
სიცივისაგან საბრალოს
გალურჯებოდა ხელები.

წამოაყენა, თათები
უბეში ჩაუთბარუნა;
პატარაც გულზე მიეკრა,
ტუჩებზე მიემტკბარუნა.

იკითხა — მამა რა იქნა,
გარეთ გავიდა განაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელი ვნახე სიზმარში,
რომ კაბა მომიტანაო.

VIII.

ანანო სხვაზედ ჰფიქრობდა,
სხვა ჰქონდა სადარდებელი;
მის მაროს არა ჰქონდა-რა
დღეს პურზე შესაწებელი.
იფიქრა — დავკლა ყვინჩილა,
ობლათ დამრჩება ვარია,
თუ არა რით გავახარო,
სხვა რა მაქვს ნამაგდარია!
განა არ ჰყავდა ქათმები,
მათზე ცოტასა წვალობდა!
რომ დასძახებდა ჯუ-ჯუ-ჯუს,
ყოველ მხრით მოკაკანობდა:
ქოჩორა, კისერ-ღაბუა,
ფრთა ჭრელი, წინწკლებიანი,
დედლები ნაირ-ნაირი,
მამლები ჯიღებიანი.
ზოგი მოსტაცა მიმინომ,
ზოგიც ქორმა და მელამა,
ამის ქათმებზედ იყარეს
ჟინი და ჯავრი ყველამა.
ჭირს ნულარ იტყვით, დაღუპა
მან უფრო უარესადა,
ერთიც არ გადაარჩინა
საწამლედ, გასალესადა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX.

მეზობლის რძალმა აჩუქა
ეს წიწილები მაროსა;
მათ ვერც რა მელამ დააკლო,
ვერც ჭირმა იბარბაროსა.

ეზოდამ არსად უშვებდა,
კუდი-კუდს ედევნებოდა,
იმათ გულისთვის პატარა
სახლშიც კი არა დგებოდა.

უნდა გენახათ თქვენ მარო,
რა ტკბილათ უკურკურებდა,
დროზე არც საჭმელს აკლებდა,
არც სასმელს მოაწყურებდა.

ისე დაზარდა აქამდის,
რომ ფრჩხილი არა სტკენიათ;
პატრონისაგან ვარიებს
აძიბოც არა სმენიათ.

ერთ-ერთის დაკვლა-ანანოს
განა არ ეზარებოდა!
მაგრამ რა ექნა შობა დღეს,
ხალხისა ერცხვინებოდა.

X.

ტირის პატარა, ქვითინებს,
ცრემლებით ივსებს თვალებსა;
დაეძებს მამლაყინწასა
კითხვით აბეზრებს ქალებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარსად ნახა ჯუჯულა,
ველარც შინ, ველარც გარეთა;
დაჯდა დი მორთო ტირილი
ახლა კი უფრო მწარედა.
სადილზე გული მიუხვდა,
რაც მომხდარიყო, მარასა,
კბილს არ აკარებს, შორს ისვრის
მკერდსა და საწინწკარასა.
თან დედას ებუზღუნება
ტირილით, საყვედურითა:
რისთვის დაკალი, არ შევჭამ,
ბევრიც რომ მთხოვო გულითა.
დაუჭერია ვარია,
ეხვევა, ეალერსება,
იგონებს მამლაყინწასა
და თვალი ცრემლით ევსება.

შობის წინა დღეს ნინიკამ,
შრომით დაცლილმა ოფლათა,
ბატონსა სთხოვა ერთის დღით
წასვლა ცოლ-შვილში სოფლათა.
მაგრამ ის სოფლის მაგივრათ
საკანში იმყოფებოდა,
იქ ისა სწუხდა, ანანო
აქ მის ლოდინში კვდებოდა.
ვერვინ გაიგო მიზეზი
ნინიკას დატყვევებისა,
ეს ჰკლავდა მხოლოთ მის გულსა,
რცხვენოდა ცუდის ხმებისა.

შ. მდვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს სიყვარული

(ვუძღვნი ივანე ჯაფარიძეს)

ველ სახელმწიფოთა შორის ერთი უპირველესი ადგილი რომის სახელმწიფოს ეჭირა. ამ სახელმწიფოს მკვიდრნი — რომაელები — ძველათ უძლიერეს ხალხათ იყო აღიარებული. სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს ერთგულება, სამშობლოსათვის თავის განწირვა— აი თავი და თავი, უმთავრესი იარაღი, რომელთა საშუალებით რომაელებმა შეჰქმნეს დიდი და ძლიერი სახელმწიფო.

ქრისტეს დაბადებამდის, მეექვსე საუკუნეში, ტულლი ჰოსტილიუსის მეფობის დროს, რომაელებს მოუხდათ ომი მეზობელ ხალხთან — ალბანელებთან. ორივე მხარემ ბრძოლის ველზე წამოაყენეს თავისი რჩეული მეომართა რაზმი. ბრძოლის დაწყებას ყველა მოუთმენლათ მოელოდა.

ალბანელების მთავარსარდალმა, მეტტი ფუფეციუსმა წინადადება მისცა რომაელების მეფე-სარდალს: ომის ბედი ორივე მხარემ ფალავნების შეტაკებით გადავწყვიტოთ, ვისი ფალავანიც დასძლევს, გამარჯვებულათ ის მხარე ჩაითვალოსო. ტულლი ჰოსტილიუსს ეს წინადადება მოეწონა და შეუდგნენ ფალავნების ძებნას. ალბანელებმა ბრძოლის ველზე გამოიყვანეს სამი ძმა კურიაციუსი, ხოლო რომაელებმა სამი ძმა ჰორაციუსი.

საომრათ გამზადებულ რაზმებს ფართო ველი აშორისშორებდა. ფალავნები ერთი-მეორეს მედიდურათ გასცქეროდენ და შეტაკების დაწყებას მოუთმენლათ მოელოდენ. თვითოეული რა-

ზმი უხმოთ ამხნევებდა თავ-თავისს ფალავნებს, თითქო ყურში ჩასჩურჩულებდა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ერთგულობაზე, თქვენ სიმხნევე-სიმამაცეზედაა დამოკიდებული მთელი სამშობლოს კეთილ-დღეობა“-ო. ფალავნებსაც ღრმად სწამდათ ამ საიდუმლო ჩურჩულის მნიშვნელობა და ამიტომაც გულის ცახცახით ბრძოლის ველს არწივივით თავს დასცქეროდენ.

დანიშნულ დროს ფალავნები თავ-დავიწყებით ერთი-მეორეს გაუმკლავდენ. ალბანელთა და რომაელთა ჯარის-კაცნი გულის ფანცქალით ადევნებდენ თვალს ფალავნების ყოველგვარ მოძრაობას. სამშობლოს ბედის გადამწყვეტნი ჯერ კიდევ თანასწორი ძალით იბრძოდენ, ვინ ვის დასძლევდა, ძნელი გამოსაცნობი იყო. ორი ძმანი ჰორაციუსი სისხლის მორევში სცურავდენ, მაგრამ ამისდა მიუხედავათ სრულიად უვნებელ მტერს მედგრათ უმკლავდებოდენ. ერთი წამიც და ბრძოლის ველმა სამუდამოთ გულში ჩაიკრა ალბანელებთა ბასრი ხმლით განგმირული ორი ძმა ჰორაციუსი. ამის დანახვაზე ალბანელების ჯარის მეომრებმა სიხარულის კიჟინა დაჰსცეს; მათი სიხარული, გამარჯვების იმედი მებრძოლ კურიაციუსს კიდევ უფრო მეტ ძალას მატებდა, ხოლო რომაელთა რაზმებში წუხილი და გმინვა ბრძოლის ველზე ობლათ დარჩენილ ჰორაციუსს ნაღველზე ნაღველს უმატებდა.

საშიშ მდგომარეობაში მყოფმა ჰორაციუსმა მტერს ერთბაშათ ზურგი უჩვენა და შეშინებულსავით თავის რაზმებისაკენ გაეშურა.

კურიაციუსნი კვალ და კვალ გამოუდგენ, მაგრამ, რადგანაც ძრიელ დაქანცული იყვნენ, ერთი-მეორეს ჩამოშორდენ. მაშინ ჰორაციუსი მოულოდნელათ შესდგა და მახლობლათ მიმდევარ კურიაციუსს ერთის დაკვრით გული გაუპო. ამ დროს მეორე ძმამაც მოატანა ბრძოლის ადგილს. ერთის ხმლის მოქნევით რომაელთა ფალავანმა მეორე ძმაც სიცოცხლეს გამოასალმა. ეს ორი შემიწირავს ჩემი სამშობლოსათვის თავდადებულ ძმების აჩრდილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის, ხოლო მესამეს შევსწირავ ამ ომის კეთილათ დამთავრებ-ების საქმესო, — სთქვა გამხნევებულმა ჰორაციუსმა და მტერზე იერიში მიიტანა. ღონივრათ მოქნეულმა ბასრმა ხმალმა იქვე უხ-მოთ გამოათხოვა სიცოცხლეს ალბანელების უკანასკნელი ფალა-ვანი. ამნაირათ ჰორაციუსის თავ-განწირულებამ რომაელებს არ-გუნა გამარჯვების დროშა და ალბანელები მათ სამუდამოთ დაუ-მორჩილა.

გამარჯვებული რომაელნი სატახტო ქალაქში დაბრუნდენ. მთელი რომის მკვიდრნი დიდის სიხარულით და ზეიმით დაუხვდენ გამარჯვებულთ. ყველანი აღტაცებით ულოცავდენ გამარჯვებას სამშობლოს მხსნელს და განმათავისუფლებელს ჰორაციუსს. ხო-ლო ამ ეროვნულ დღესასწაულს ბანს არ აძლევდა ერთათ-ერთი რომაელი ქალი, რომელიც ამ დროს თმა-გაშლილი მწარეთ ქვი-თინებდა. ეს გახლდათ ჰორაციუსის და, რომელიც ბრძოლის ველ-ზე განგმირულ ერთ-ერთი კურიაციუსის დანიშნული იყო. მთე-ლი ერი სამშობლოს მტრისაგან თავის დაღწევას დღესასწაულობ-და, მხოლოდ ეს ქალი კი თავის დანიშნულს, სამშობლოს მტერს ცხარე ცრემლით დასტიროდა. ჰორაციუსმა ვერ მოით-მინა თავის დის საზიზღარი საქციელი: — „შორს, შორს ჩემგან, საძაგელო!“ — ხმის კანკალით წამოიძახა გააფთრებულმა ჰორაცი-უსმა და გაშიშვლებული ხმლით მყისვე სიცოცხლე მოუსპო თა-ვის საყვარელ დას. — „ეს დღე მოელის თვითოეულ რომაელ ქალს, როცა იგი სამშობლოს მტერს თავს დაჰქვითინებსო“ — დასძინა ჰო-რაციუსმა და განშორდა.

მთელი ერი შეაძრწუნა ჰორაციუსის ამგვარმა საქციელმა. მართლ-მსაჯულება მოითხოვდა დამნაშავე გაესამართლებინათ. მსაჯულებმა დიდის თათბირის შემდეგ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს სამ-შობლოს განმათავისუფლებელს. ჰორაციუსი არ დაემორჩილა მსა-ჯულების გადაწყვეტილებას და საქმის ხელ-მეორეთ განსჯა უმ-თავრესს სამსჯავროს, საერო საკრებულოს მიანდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა უკანასკნელი განსამართლების დღე. ხალხთა ბრბე-მა არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, იგი დიდათ სწუხდა, რომ ასამართლებდა მკვლელობის ჩადენის გამო სამშობლოს განმათავისუფლებელს. მთელი კრებული სდუმდა და ყველას რაღაც ჭმუნვარების ელფერი შარავანდედივით შუბლს გადაჰკროდათ. ამ უხერხულ მდგომარეობის დროს საკრებულოს წინაშე წარსდგა სრულიად გაფითრებული, თვალებ-ამღვრეული, ტანში ძალზე მოხრილი მოხუცი. ეს იყო ჰორაციუსის მამა.

— „ხალხნო!—დაიწყო ათრთოლებულის ხმით მოხუცმა.—ჩემი საყვარელი ქალი სამართლიანათ დაისაჯა, რადგანაც მან მთელი სამშობლოს ბედნიერება, მთელი ერის კეთილ-დღეობა საკუთარ მწუხარებას ანაცვალა. მე რომ დავრწმუნდე ჩემი შვილის დანაშაულობაზე, მყისვე ვისარგებლებდი ჩემის მამობრივის უფლებებით და აქვე თქვენს წინაშე მოვუსპობდი მას სიცოცხლეს. გთხოვთ, გემუდარებით, შეიბრალეთ საწყალი მოხუცი მშობელი, რომელიც სულ ამ მოკლე ხანში ამაყობდა თავის ჩამომავლობით. გევედრებით, ნუ წაართმევთ მას ამ ერთათ-ერთ ნუგეშს, ნუ მოუსპობთ მას უდროოთ სიცოცხლეს“. მოხუცმა ამ სიტყვებთან ერთათ გულში ჩაიკრა იქვე მდგომი შვილი და ქვითინი დაიწყო. ხალხი ერთბაშათ შეტორტმანდა.—„ნუ თუ,—განაგრძო ისევ ქვითინით მოხუცმა: თქვენ სიკვდილით დასჯით მას, ვისმა თავ-განწირულობამაც სამშობლო დიდის განსაცდელისაგან იხსნა? თუ შენ, ჯალათო, შებოჭავ იმ ხელებს, რომელმაც ბასრი ხმლით გამარჯვება დაულოცა რომაელებს? ნუ თუ გგონია, რომ ამით სასიამოვნო თავ-გასართობს მიუძღვნი ამავე ერს? თუ თქვენ სამშობლოს განმათავისუფლებელს სიკვდილით დასჯით, განა გგონიათ, რომ ეს სასიამოვნოთ დარჩება სამშობლო ქვეყანას! გევედრებით, აჩუქეთ შობილი მშობელს, აჩუქეთ იგი თავის სამშობლოს!“ ამ სიტყვებზე მოხუცს მუხლები მოეკვეცა და პირქვე დაეცა.

ხალხმა ერთხმათ გაამართლა ჰორაციუსი და თავის განაჩენს საბუთათ ეს მოსაზრება დაუდო: სამშობლოს სიყვარული ყოველგვარ სიყვარულზე უფრო ძლიერი და პატივსადებიაო.

ბელაგიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასკალის ოჯახი

დასასრული *)

იდ ხანს არ გაუვლია ამას შემდეგ, რომ პასკალის ოჯახს დაატყდა დიდი უბედურება. მაშინ საფრანგეთში ლიუდოვიკ მე-XIII მეფობდა, მას არ უყვარდა სახელმწიფო საქმეების მართვა და ყველაფერი ჩააბარა ჭკვიან კარდინალ რიშელიეს და ის თავის ნებაზე მართავდა საფრანგეთს. რიშელიე იყო მკაცრი და დიდების მოყვარე კაცი. მას წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა, არც მართალის გაგონება უყვარდა და არც სხვის აზრებს აგდებდა რათმე. სასტიკათ დევნიდა იმათ, ვინც მისი ყურ-მოჭრილი ყმები არ იყვენ. თანდათან მისი მოწინააღმდეგენი მრავლდებოდენ.

ერთხელ მეცნიერთა წრეში, რომლის წევრათ პასკალიც იყო, რამდენიმე წევრმა უკმაყოფილება გამოაცხადა კარდინალის უსამართლო საქციელზე ერთ საქმის შესახებ და მისი მოქმედება გაჰკიცხეს კიდეც. რიშელიეს მიუტანეს ამბავი. ორი წევრი, რომელნიც ჰკიცხავდენ რიშელიეს,

*) ბოდიშს ვიხდით ჩვენს პატარა მკითხველებთან, რომ ქრისტეშობისთვის და იანვრის ნომრებში უადგილობის გამო ვერ დაიბეჭდა.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს. სხვები საჩქაროთ წავიდენ პარიჟიდან. პასკალს ეძნელებოდა შვილების მიტოვება და დარჩა ისევ პარიჟში, თუმცა ყველა ეუბნებოდა—თავს უშველეო. სახლში ველარ დადგა და ხან ერთ მეგობართან შეაფარებდა თავს, ხან მეორესთან. შვილები მიდიოდენ ხოლმე მამის სანახავათ. პოლიციამ დაუწყო პასკალს ძებნა. სახლი გაჩხრიკეს, ცდილობდენ ჟილბერტას გამოტეხას, მაგრამ ვერა გააწყეს-რა და თავი მიანებეს. პასკალს თვითონ შვილები უზიდავდენ ტანისამოსს და წიგნებს, რადგან ეშინოდათ, რომ მოსამსახურეებს არ გაეცათ.

ბლეზი ისე გატაცებული იყო ახალ-ახალ გამოკვლევებით, რომ მამასთან სანახავათ მხოლოთ რამდენიმე წუთით მიდიოდა. გამოჩენილი ოხზულებების კითხვა აღარ აკმაყოფილებდა მას და თავის ჭკუით გამოჰყავდა დასკვნები ზოგიერთ ნაწერების შესახებ.

— ჩემმა შვილმა ფრთები გაშალა, ველარავინ ვერ შეიკავებს მას.—ამბობდა პასკალი და თან გულში უხაროდა.

ვერც ჟილბერტა დადიოდა ხშირათ მამის სანახავათ, რადგან ოჯახის საქმეები სულ მას აწვა კისერზე. სამაგიეროთ ჟაკელინა მთელ დღეებს ატარებდა მამასთან, უკითხავდა თავის ლექსებს, არდგენდა ნაცნობებს და ამით ართობდა და ასიამოვნებდა მამას.

— თეატრი აღარ მესაჭიროება, ისე მატარებინებს დროს ჩემი ქალიშვილი. იტყოდა ხოლმე პასკალი.

ერთხელ, როდესაც პასკალი ელოდა ჟაკელინას, მის მაგიერ გაფითრებული და შეშინებული ბლეზი მივიდა და უთხრა მამას, ჟაკელინა ავათ არის, ქვეშაგებში წევსო.

— ექიმს ჯერ არ უნახავს, მაგრამ ჟილბერტა და მადელინა ამბობენ, რომ ყვავილი გამოაჩნდებაო და მეც ახლოს არ მაკარებენ.

— ძალიან კარგს ჩადიან, რომ ახლოს არ გიშვებენ. თქვა პასკალმა, და თან დაიწყო ქაღალდების მილაგ-მოლაგება.

— სად ემზადები, მამა? ჰკითხა შვილმა გაოცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ავათმყოფ შვილთან მივდივარ! ამას ვერავინ ~~ვერ ამიკრძალავს~~, უნდა მოვუარო.

— რომ დაგიჭირონ, მაშინ რაღა ვქნათ!

— ნუ გეშინია, შვილო! პოლიცია ისე არ გამოიმეტებს თავს და არ დამიწყებს ძებნას იმ სახლში, საცა ყვავილი მძვინვარებს. უპასუხა მამამ მწარე ღიმილით.

— მოვიცადოთ მაინც სანამ დაღამდება, თორემ შესაძლოა ქუჩაში დაგიჭირონ.

ბლეზმა დიდი ვაი ვაგლახით შეიკავა მამა, სანამ დაღამდებოდა.

ჟაკელინა მძიმეთ ავადმყოფი იყო, მამა არ შორდებოდა გვერდიდან, მერე, როდესაც ყმაწვილი უკეთ შეიქნა, პასკალიც მოშორდა აღრინდელივით თავის ოჯახს.

— ახლა ავათ აღარ ხარ, რომ არ მოვიდენ ჩემ დასაჭერათ. ეუბნებოდა პასკალი თავის ქალიშვილს და თან ცდილობდა აღელვება შეეკავებინა, მამას ძალიან ეძნელებოდა შვილის დატოვება, რადგან ის ჯერ კიდევ სუსტათ იყო და სახეც ყვავილით დასახიჩრებული ჰქონდა.

მეგობრები ძალას ატანდენ, რომ პასკალი სადმე წასულიყო, რადგან ამ ბოლო დროს კიდევ მიჰყვენ დატუსაღებას და ამასაც დაეძებდენ. პასკალმა დაუჯერა მეგობრებს და შვილებს და წავიდა კლერმონს. სახლიც და ავათმყოფიც ჩააბარა თავის უფროს ქალიშვილს.

— ბედს ვერ დავემდურები, წამოიძახა პასკალმა, — ღმერთმა კაი შვილები მომცა. რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყოლოდი, ჟილბერტა!

ჟილბერტამ გაოცებით შეხედა მამას და უთხრა:

— მაშ ვინ უნდა იზრუნოს თქვენზე და ყმაწვილებზე, თუ არ მე?

ჟილბერტა დიდხანს არ უჩვენებდა სარკეს თავის დას, რადგან ჟაკელინას პირის სახე ძალიან ნაყვავილარი ჰქონდა. მაგრამ ყმაწვილმა მოინდომა უსათუოთ სარკეში ჩახედვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ თუ გგონია, რომ მე სილამაზეს ძალიან ვაფასებ? — უთხრა მან ჟილბერტას, — განა შენ ოითონ არ მასწავლე დაფასება ნამდვილი ღირსებებისა და არა გარეგნობისა?

ჟილბერტამ მოუნახა სარკე და ორი სხვილი ცრემლი ჩამოაგდო, როდესაც ჟაკელინამ ჩაიხედა სარკეში. მართალია თავის სილამაზეს არაფრათ აგდებდა, მაგრამ ჟაკელინას სილამაზეს დიდათ აფასებდა. ყმაწვილი დიდხანს ჩასცქეროდა სარკეში თავის სახეს, მერე მიეკრა დას გულზე და ალერსით უთხრა:

— შენ ტყუილათ სწუხარ, აბა, შემომხედე, მე არაფრათ ვაგდებ ჩემი სილამაზის დაკარგვას! უნდა გიხაროდეს, რომ ამას იქით სულ გვერდით გეყოლები. აღარსად აღარ ვივლი.

ჟილბერტა ისე თავ დადებით უვლიდა დას, რომ ჟაკელინა მალე გამობრუნდა, გამაგრდა, ნაყვავილარი ცოტ-ცოტა გადაუვიდა და ისევ ადრინდელივით გალამაზდა.

გავიდა ნახევარ წელიწადი, პასკალი განძევებული იყო, შვილებმა არ იცოდენ, დაბრუნდებოდა როდისმე პარიჟში თუ არა. ერთხელ ჟილბერტა ფანჯარასთან იჯდა და საქმობდა, მოვიდა მასთან სენტოს ცოლი და უთხრა, რომ კარდინალ რიშელიეს დისწული აწყობს წარმოდგენას და თხოვს ჟაკელინას მიიღოს ამ წარმოდგენაში მონაწილეობაო. — კარდინალი შეუძლოთ არის, დაუმატა მან, — ქეიფზე არ არის და მის გასართობათ დისწული მართავს დღესასწაულს, რომელშიაც მხოლოთ ბავშებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ჟილბერტას სახე ღრუბლით მოიცვა და მკვახეთ უპასუხა:

— ბატონ კარდინალს ჩვენთვის დიდი არაფერი სიამოვნება მოუყენებია, რომ მის გართობაში მონაწილეობა მივიღოთ.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ბლეზიც, შეიტყო თუ არა რაშიაც იყო საქმე, გადაჭრით უარი უთხრა.

სენტოს ცოლი გაჯავრებული მაშინვე წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ცხოვრებისა არა გაგეგებათ-რა, ბატონო ბლეზ, — უთხრა სენტოს ცოლმა, როდესაც ყმაწვილი აცილებდა ეტლამდის.

— იქნება აგრეც იყოს, ბატონო, — უთხრა ყმაწვილმა მძიმე თავის დაკვრით, — მაგრამ, მგონია, მამაჩემიც მაგ აზრისაა და სხვაფრივ მე არ მოვიქცევი.

სულ ორ დღეს არ გაუვლია მას შემდეგ, რომ სენტოს ცოლი ხელ-ახლათ მოვიდა პასკალის ოჯახში. კარდინალის დისწულს შემოეთვალა, „ჟაკელინას იმიტომ ვთხოვ ასე, რომ ყმაწვილი თავისი თამაშობით უსათუოთ კარდინალის ყურადღებას მიიპყრობს და მაშინ შესაძლო იქნება ვითხოვოთ პასკალის დაბრუნება თავის ოჯახშიო“. ამის გაგონებაზე ჟილბერტას და ბლეზს დიდხანს აღარ უფიქრიათ და მაშინვე თანხმობა გამოაცხადეს. ჟაკელინას ძალიან ეუცხოვა, რომ მაღალ საზოგადოების წინ უნდა ეთამაშა. მაგრამ მამის მოგონებაზე ყმაწვილი მალე დამშვიდდა და ძალიან კარგათაც მოემზადა ახლა, მის და-ძმას უფრო ეშინოდათ, ვიდრე თითონ მას. მამის დიდძალმა მეგობრებმა აღუთქვეს ამათ დახმარება. ზოგიერთ გავლენიან პირებმა კიდეც მოახსენეს კარდინალს, რომ პასკალი არაფერში დამნაშავე არ იყო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ თუ ჟაკელინა კარგათ მოახსენებდა რიშელიეს თავის სათხოვარს, პასკალს უსათუოთ აპატიებდენ.

წარმოდგენამ შვენიერათ ჩაიარა. ჟაკელინა საუცხოოთ თამაშობდა და ყველას ყურადღება დაიმსახურა. კარდინალი აღტაცებაში მოვიდა მისი თამაშობით, როდესაც გათავდა და დაიწყეს მოთამაშეების გამოხმობა, ჟაკელინამ პირდაპირ კარდინალისაკენ გასწია; იმანაც მიიხმო ყმაწვილი და დაუწყო ალერსი და ქება. ჟაკელინა მოუყვა კარდინალს ლექსათ თ..ის თხოვნას მამის გათავისუფლების შესახებ, მაგრამ შეკრთა, ლექსები შეეშალა და ბოლოს ტირილს მოჰყვა:

— რა დაგემართა, შვილო? — ჰკითხა თანაგრძნობით კარდინალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამის პატიობასა გთხოვსთ,—უთხრა გვერდზე მჯდომმა დისწულმა.

რიშელიემ წარბები შეიჭმუხნა. ჟაკელინამ მოიკრიფა ძალონე, შეხედა თავისი ცრემლით სავსე შვენიერი თვალებით კარდინალს და მოჰყვა გარკვევით თავის ლექსს. ხმა-ამოუღებლივ უსმენდა კარდინალი; როდესაც ყმაწვილმა გაათავა, მიუბრუნდა იქვე მდგომ კარის კაცს და უთხრა:

— თქვენ იცით ეს საქმე? პასკალი მართლა არ არის დამნაშავე, როგორც მისი ქალიშვილი ამბობს?

— გარწმუნებთ, რომ სულ მართალია,—უპასუხა მან.

მაშინ რიშელიე მიუბრუნდა ყმაწვილს:

— მისწერე მამას, რომ მიპატიებია, არ მინდა მის შვილებს მწუხარება მივაყენო.

ჟილბერტა და ბლეზი მივიდენ რიშელიესთან და მადლობა უთხრეს. ჟაკელინამ უცბათ თავი მაღლა აიღო და ხმა-მაღლა თქვა:

— თქვენო უწმინდესობავ, მე ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ თქვენთან.

ყველამ გაოცებით შეხედა ამ თამამ ყმაწვილს, მაგრამ კარდინალმა, რომელსაც თანდათან უფრო მოსწონდა ეს ყმაწვილი, ალერსით უთხრა:

— მთხოვე რაც გინდოდეს, ადრევე გპირდები, რომ აგისრულებ შენ თხოვნას.

— ნება მიეცით მამაჩემს, როდესაც დაბრუნდება, მოვიდეს თქვენთან და მადლობა გადაგიხადოსთ.— კარდინალმა შუბლზე აკოცა ყმაწვილს.

— არა თუ ნებას მივცემ, ვუბრძანებ მთელი თავისი სახლობით მნახოს.

ამ ღამეს პასკალის ოჯახი აღელვებული იყო და დიდხანს არავის არ დაუძინია. ბლეზი და ჟილბერტა იმის რჩევაში იყვენ, თუ ვინ გაეგზავნათ კლერმონს ამისთანა კაი ამბით. ჟაკელინა მოჰყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამასთან გრძელი წერილის წერას, რომელშიაც დაწვრილებით ამ-
მბობდა ყველაფერს.

ღამის ორი საათი იყო, რომ დამ ჟაკელინა რის ვაი-ვაგლა-
ხით დააძინა.

ორ კვირას შემდეგ პასკალი დაბრუნდა პარიჟში. მეორე დღე-
სვე მივიდა სასახლეში კარდინალთან, მაგრამ კარდინალს არ მიელო.

— ხომ არ გაგვიწყრა კიდევ?—წამოიძახა საჩქაროთ ჟაკელი-
ნამ და ისე უცბათ წამოხტა, რომ ორი დედოფალა, რომლებიც
კალთაში ელაგა, ძირს ჩამოუვარდა.

— არა, — უპასუხა პასკალმა, — იმან იკითხა სამივე შვილებით
ვარ მისული თუ არა, და როდესაც შეიტყო, რომ მარტო მივე-
დი, შემომითვალა, შვილებით ერთათ მოდიო.

— მას ჟაკელინას ნახვა უნდა, წარმოდგენაზე ძალიან მოე-
წონა, — უთხრა ჟილბერტამ; — წამო, დაიავ, ვნახოთ ჩვენი მორთუ-
ლობა გამოდგება თუ არა იქ წასასვლელათ.

ჟაკელინამ ყური არ ათხოვა, დაჯდა ძირს და დედოფლებს
დაუწყო ალერსი.

— საბრალონი ჩამოვარდენ და დამიზიანდენ. — თქვა ჟაკელი-
ნამ და თავი მაღლა აიღო.

— შენ შენ ყმაწვილობას არ იშლი, უთხრა ჟილბერტამ
გაჯავრებით. — არ გესმის, ხვალ უნდა წავიდეთ კარდინალთან?

— მე ძალიან კარგათ მესმის, მაგრამ ჯერ ჩემი ქალიშვილე-
ბი მივაწვინო, რადგან უქეიფოთ არიან ძირს დაცემას შემდეგ.

და გავიდა მეორე ოთახში.

— უცნაურია ეს ჩემი და. ხან ექვსი წლის ბავშს მიეგვანება
და ხან ისეთი მსჯელობა აქვს, თითქო დარბაისელი ქალი იყოს.

მეორე დღეს პასკალის ოჯახი წავიდა კარდინალ რიშელიეს
სანახავათ სასახლეში, ქალაქს გარეთ. რიშელიემ ისინი ძალიან
კაგათ მიიღო, პასკალს ცოტა ხანს ელაპარაკა, ყმაწვილებს
ეალერსა და უბრძანა სასახლე ეჩვენებინათ მათთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე უთხრა პასკალს:

— ჩამიბარებია თქვენთვის თქვენი შვილები, კარგათ მოუარეთ. მაგათგან გამოჩენილი კაცები უნდა გამოვიყვანო!

— ეგ კაი ამბავია, შენ შვილებს შენვე გაბარებს, თქვა წყენით ჟილბერტამ.

— ღვთის მადლით ჩვენ ახლა ყველანი ერთათ ვართ და ადრინდელივით მოსვენებით ვიცხოვრებთ. —წამოიძახა ჟაკელინამ, როდესაც სახლში დაბრუნდენ. — თორემ ბლეზი ამბობს, ამ ბოლო დროს ისე აღელვებული ვარ, რომ გადავეჩვიო მუშაობასო. თუმცა კი აუარებელი ქაღალდები აქვს დაწერილი. ნეტავ რა გიწერია მაგ ქაღალდებში? მიუბრუნდა ის ძმას.

— ეს არის გამოკვლევა კონუსურ ჭრაზე...

— ბრრ... რა ძნელი სიტყვებია, რა გაუგებარ რამეს მეუბნები! თქვა სიცილით ყმაწვილმა —იცი, მამილო, მე რომ ხან და ხან არ ვუშლიდე, საწერ მაგიდას არ მოშორდებოდა. ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, ბატონო სწავლულო, რომ გვერდით გყავთ ჩემისთანა პატარა ჭრიჭინა, რომელიც მოსვენებას არ გაძლევთ, თორემ ყველაფერს დაივიწყებდით.

ჟაკელინამ სტაცა ხელი ძმას და დაუწყო ოთახში ტრიალი, თითქოს მადელენას გამოსაჯავრებელათ. მას სანთლით გაელაქა იატაკი და ბუზღუნებდა, რომ ყმაწვილები უფუჭებდენ ნამუშავარს.

პასკალის ოჯახს მხოლოთ ერთ თვეს მოუხდა მოსვენებით ცხოვრება; კარდინალმა ნორმანდიის გუბერნატორათ დანიშნა პასკალი და ის მთელი ოჯახით იქ უნდა გადასახლებულიყო. დიდი პატივისცემა და თანაც სასარგებლო იყო ამ ადგილის მიცემა, ამით რიშელიე აჯილდოებდა პასკალს, რადგან ეს კაცი უდანაშაალოთ იყო განდევნილი.

პასკალი რომ მივიდა რიშელიესთან მადლობის სათქმელათ, მან ხელ მეორეთ გაიმეორა:

— შენი შვილები სახელოვან კაცებათ უნდა გამოვიყვანოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასკალის შვილები უიმისოთაც შესანიშნავი ნიჭისა იყვნენ. ბლეზი ჯერ სრული თექვსმეტის წლისა არ იქნებოდა, რომ გამოსცა თავისი პირველი გამოკვლევა. ამ გამოკვლევამ გამოჩენილი ნასწავლნი დიდათ გააკვირვა. მას შემდეგ მისი სახელი გაითქვა, ცნობილი შეიქნა ყველა ხალხში და დაიმსახურა უკვდავის სახელი. ის იყო დიდი მცოდნე ფიზიკისა და მათემატიკისა, და ამასთანავე მთელ ქვეყანას აკვირვებდა, როგორც მეცნიერი მწერალი და სწავლით აღჭურვილი.

მივიდენ თუ არა ბინაზე ქალაქ რუანს, ჟაკელინამ მიიღო ჯილდო ადგილობრივ დღესასწაულის გამო დაწერილ ლექსისთვის. სწორეთ იმ დღეს, როდესაც არიგებდენ ჯილდოს, ჟაკელინა შეუძლოთ გახდა და გამოძახებაზე გვირგვინის მისაღებათ არავინ გამოჩნდა. მაშინ წამოდგა დიდებული პოეტი კორნელი, ჟაკელინას მაგივრათ მადლობა გადუხადა საზოგადოებას და გამოართვა გვირგვინი მის გადასაცემათ. პოეტი თავის ფეხით მივიდა პასკალთან და ფერ-მიხდილ და მისუსტებულ ჟაკელინას თავზე დაადგა გვირგვინი და უთხრა:

— ეს არის დიდებასთან მიღწევის პირველი ნაბიჯი.

დიდებამ არ გაიტაცა პასკალის შვილები. მთელ ქვეყანას აკვირვებდა ბლეზის თხზულებები, ის კი ქალაქ გარეთ, მიყრუებულ ადგილს, მყუდროთ ცხოვრობდა და მთელ დღეებს შრომაში ატარებდა.

ის მხოლოთ მეცნიერების გამოკვლევის სიყვარულით ხელმძღვანელობდა მუშაობაში და მიზნათ ჰქონდა ჭეშმარიტების გზის პოვნა. ჟაკელინა მამის და დის სიკვდილს შემდეგ, რომლებსაც თავგანწირული სიყვარულით უვლიდა, შევიდა პანსიონში მასწავლებლათ და იქ ახალგაზდა ქალებს ზრდიდა.

ან. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერში ფრენა

(ჰაერონავტიკა)

II *)

ელავს და შფოთავს ადამიანის ჭკუა-გონება! ფეხ-ქვეშ გათელა მთლათ ხმელეთი; დაიმორჩილა ზღვა-ოკეანე და მისი გააფთრებული ტალღა-ზვირთები — ააშენა ქალაქის ოდენა გემი-ხომალდი და გამარჯვებული ზედ დასრიალობს. ამასაც არ დააჯერა — ტალღებს ჩაჰყვა, ძირს ჩავიდა, შვიდი-რვა ვერსის სიღრმეზე უფსკრული გაანათა და ზღვა-ოკეანეს გული გაუჩხრიკა, ამოიტანა, ამოამზევა მარჯანი, მარგალიტი და სხვა ათასი საუნჯე და განძი.

მაგრამ არ იქნა და არა! მაინც ღელავს და შფოთავს ადამიანის ჭკუა-გონება, სული და გული. ადამიანი დიდი ხანია ცას შესცქერის, ჰაერსაც ეპოტინება. მაშ რაღა მეფე ვარ ბუნებისა, თუ კი ჩემს ზევით ფრინველნი დაჰფრინავენო და რათ მეკადრება ყვავი, ყორანი, ჭილ-ყვავი თავზე დამჩხაოდესო.

დიაღ, ადამიანი დიდი ხანია ოცნებობს, ჭკუას ძალას ატანს გამოიგონოს იმისთანა ფრთები, რომ ფრინვლებსავით თავისუფლათ დაფრინავდეს; ან იმისთანა ნავი მოახერხოს, რომ თავის ნებათ ჰაერშიაც ისე იცურაოს, როგორც ზღვაში.

ჰაერში ფრენის ისტორია მეტათ საინტერესოა. მეცნიერი და

*) იხილე «ჯეჯილი» № I, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეცარი გატაცებული ათას ხერხს იგონებდა ფრინველთა მისაბაძავათ. იმათში, რასაკვირველია, ბევრი სასაცილოც იყო.

მეოთხე საუკუნეში, ქრისტეს წინეთ, ფილოსოფოსმა არხიტასმა გამოიგონა ხის მტრედი, რომელსაც რამდენსამე ხანს შეეძლო ჰაერში გაჩერება.

66 წელს ქრისტეს წინეთ, ვიღაც სვიმონ ვოლხოვი ერთის სახლის ბანიდან მეორე ბანზე გადაფრინდა, მაგრამ რომ გაიმეორა ფეხები დაიმტვრია.

მას აქეთ გაიარა თერთმეტმა საუკუნემ, ე. ი., ათას წელზე მეტმა და აღარავის გაუბედია ჰაერში ფრენა, მხოლოდ ალექსანდრე კომნენის მეფობის დროს ვიღაც სარაცინმა გააკვირვა კონსტანტინოპოლის ხალხი. ტირიფის ფრთები გაიკეთა და ბანიდან ბანზე გადაფრინდა, მაგრამ ამასაც ის დღე დაადგა, რაც ვოლხოვს.

ერთი ამგვარი ამბავი საქართველოშიაც მომხდარა. სამხრეთ საქართველოში, ვარძიის მონასტრის ქვემოთ, მტკვარს მარჯვნით ერთვის ჯავახეთის მტკვარი. ამ ადგილას მდებარეობს დაბა ხერთვისი (ერთვისი), აქ მაღალ კლდეზე აშენებულია გამოჩენილი ხერთვისის ციხე თავის კოშკებით, ოდესმე მიუდგომელი და შეუვალი. ხალხი მოგვითხრობს, რომ „აღმოსავლეთის კოშკს ოსტატი აშენებდა, დასავლეთისას შეგირდი. ხალხმა და ოსტატმაც დაატყო, რომ შეგირდი ოსტატს სჯობნიდა. ამ გვარი თავის მოჭრა ოსტატმა ვერ აიტანა, სიშურით ხარაჩოები შემოაცალა კოშკს და შეგირდს ჩამოსვლის გზა მოუსპო. შეგირდმა თავის ოსტატს აქაც აჯობა. ფიცრებიდან შეჰკრა ფრთები და ჯავახეთის მტკვარს გაღმა გადაფრინდა, სწორეთ იმ გორაკზე დაეშვა, საცა ეხლა სკოლაა აშენებულიო“. ეს ლეგენდა ძლიერ ძველის ძველია, რადგან ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში რომ შემოსულა, ხერთვისის ციხე ჯარით სავსე დახვედრია.

მე-XII საუკუნეში როჯერო ბეკონმა შემდეგი აზრი გამოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვა: კაცი რომ მაშინის შუაგულში ჩადგეს, შეუძლიან უშველებელი ფრთები მოძრაობაში მოიყვანოს და ჰაერში ავა, აფრინდებაო.

ამ აზრის განსახორციელებლათ მე-XV საუკუნეში ბევრი საფრენი მანქანა აშენდა. პერუჯიის მათემატიკოსი დანტი ძლიერ მარჯვეთ ასულა ჰაერში, მაგრამ ინგლისელ მეცნიერ ბერ ოლივე მალსბერს კი კინალამ კისერი მოუტეხია.

1500 წელს გამოჩენილ ლეონარდო-დე-ვინჩის უნდოდა ფრთების შემწეობით ეფრინა, მაგრამ აღარ სჩანს, რა შედეგი ჰქონდა მის ოცნებას.

1638 წ. ვილაც გოლდუინი ფიქრობდა: ბატებს გავწვრთნი, ეტლში შევაბამ და ჰაერში ისე ვიფრენ, როგორც მოვისურვებო. ბატები, სამწუხაროთ, ვერ მიუხვდენ პატრონის სურვილს...

1659 წ. უილკინსი ამბობდა: ჰაერში მცურავი გემები გავმართოთ, რომელნიც უნდა გავავსოთ „ჰაერ გვარ ეთერით, ცეცხლის ალივითაო“. მაგრამ ისტორია სდუმს, ააშენეს თუ არა ამ გვარი გემები.

ცოტა ხანს შემდეგ ვილაც უცნაურმა ვაჟბატონმა გამოაცხადა: კაცმა უნდა გააკეთოს რკინის კალათა, ჩაჯდეს შიგ და ბლომათ ჩაიწყოს ჯიბეში ანდამატის ბურთებიო. რამდენსაც ზევით შეისვრის ანდამატს, ბურთს რკინის კალათაც თან აჰყვება, ანდამატი მიიზიდავს, ასწევს და გაფრინდებაო. საინტერესოა, რასაკვირველია, თითონ კი სცადა ამ ხერხით ჰაერში ფრენა?

1670 წელს ფრანცისკო ლანა ამბობდა: გავაკეთოთ ოთხი დიდი ბუშტი თხელი სპილენძისა, ბუშტებიდან ჰაერი გამოვუშვათ, მანქანით გამოვწოვოთ, ამ ოთხს ბუშტზე დავამყაროთ ნავი და ამგვარ ნავით ჰაერში ისე ვიცურავებთ, როგორც ზღვაშიო. ამ ჭკუის კოლოფს მხოლოთ ერთი რამ არ სცოდნია; ცალიერ უჰაერო ბუშტებს ჰაერი მიაწვებოდა და წამსვე დასჭმუჭნიდა.

1710 წ. ვილაც ლორანმა-დე-ჰაუსმანმა ფიცრებისაგან გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დიდი ფრინველი, აფრა-იალქანით გამართა, [illegible] ქარმა აფრა ააფრიალა და ჰაერში ავიდა.

1772 წ. ერთმა მღვდელმა დეფორჯიომ მსუბუქი ნავი ააშენა, ფრთები გაუკეთა და აპირებდა გაფრენას, მაგრამ დღესაც თურმე ნავი ადგილიდან არ იძვრის...

და ბევრი ამისთანები.

ყველა აქ ჩამოთვლილი ცდა და ფიქრები, რასაკვირველია, უსარგებლოთ დარჩნენ, რადგან ისეთი ვერა გამოიგონეს-რა, რომ მეცნიერებაზე ყოფილიყო დამყარებული. ამისთანა საქმეში დედა აზრს წინ უეჭველათ მეცნიერება უნდა მიუძღოდეს. ამ გვარათ, რამდენიმე ათასი წელიწადი ეწვალა კაცობრიობა და მაინც ვერა გახდა-რა, ვიდრე იმისთანა რამ ნივთიერება არ გამოიგონეს, რომ ეს ნივთიერება ჰაერზე მსუბუქი ყოფილიყო. 1766 წელს ინგლისელმა მეცნიერმა კავენდიშმა აღმოაჩინა ჰაერგვარი ნივთიერება, ანუ გაზი, რომელიც ჰაერზე 14-ჯერ მსუბუქია. ამ გაზს უწოდეს წყალმბადი. სანატრელმა ამბავმა მთელი განათლებული კაცობრიობა აღტაცებაში მოიყვანა, ხოლო პროფესორი ედინბურგის უნივერსიტეტისა ბლეკი (1767 წ.) გატაცებული იყო იმ აზრით, რომ ახლა კი ვიფრენთ ჰაერშიო, რადგან წყალმბადით გავსილი ბუშტი უეჭველათ ჰაერში იფრენსო.—დანარჩენს შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

ილიკო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო გასართობი

№ 13

დედამიწის ტრიალი

უ დღეს საუზმეთ კვერცხი მოგართ-ვეს, თოხლოთ მოხარშული, მე გას-წავლი, როგორ შეიძლება იმ კვერ-ცხის ნაჭუჭით უჩვენო შენს ჰატარა მეგობრებს დედამიწის ტრიალი.

აიღე ერთი თეფში. გამოხატე თეფშის შუა გულზე იმ თოხლო კვე-რცხის გულით ჰატარა მზე თავისის ოქროს სხივებით. თეფშის გარეშემო ამაღლებული ნაპირე-ბი მცირეოდნათ წელით დაასველე. ამ დასველებულ თეფშის ნაპირზე დადე ზურგის მხრიდან შეჭმული კვერცხის ნახე-



ვარი ნაჭუჭი და საქმე მო-რჩომილია. ეხლა რომ დახარო თე-ფში ხელის ნელ - ნელა დაწევით, ნა-ჭუჭი დაიწყებს მარდათ ტრიალს თან თავის გარს, თან, შენი დახატული, მზის გარშემო.

ბორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხური ლექსი

(აწრმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

კიდევ მეტათ გაძლიერდეს
საქართველო რომ დიდია;
გაზაფხულზე ხვნა და თესვა
ჩვენს ქრისტე ღმერთს დაუდვია.
დედამიწას გუთანი ხნავს,
შიგ ხარები შეუბია;
უკან მისდევს გუთნის დედა,
გუთანს ხელი უკიდია.
თუ კარგათ არ შეინახა
იმის სული დასჯილია;
ვერ იხილავს სამოთხესა,
ჯოჯოხეთში გაგზავნიან.
ერთი-ორათ გადიქცევა
ორმოში პურს თუ ჩაყრიან.
კაცი ისე როგორ გასძლებს,
თუ მას მუდამ პური შიან.
შემოდგომა რომ მოატანს,
მაშინ ვენახს შესცქერიან;
დღე და ღამე შიგ უდგანან,
წლის მოსავალს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი ი. ბ. გონებისკარელისაგან)

ერის კაცობა მინდოდა—ბერათ დამსახეს,
რითიცა გავირჩევოდი – იგი წამართვეს,
მომცეს სხვის შვილი საზრდელათ—ჭკუა წამართვეს
და ყიყლიყოსა მაგივრათ კრუხ-კრუხ მაძახეს.

(წარმოდგენილი კოტე სეხნიაშვილისაგან)

თევზი არ არის—დასცურავს, კაცს არ ჰგავს, იგი ბრძენია;
პირველათ ღმერთმა დასწყევლა იმისი ჯიში, ძენია.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი გ. ბოკერიასაგან)

კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის დარია.

—

მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსა...

—

გიჟი შამბზედაც ფეხს მოიტეხს.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

თუმცა მკაცრია, ცუდი ზნისაა,
ერს ემუქრება, თავსა აძულებს;
ბევრი არ დარჩა, მოკლე დღისაა,
ერთი ორის დღით ყველა გაუძლებს.
რას გვიზამს თვისი სუსტი ქარითა?
ვერ გვაზიანებს, ვერას დაგვაკლებს,
აგერ გაქცევას კიდეც აპირებს!
ლაჩარი ყველგან თავს გაიწბილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მოგვშორდება... ველს გაზაფხული
ააფერადებს, ააყვავილებს!

ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მისგანვე)

პირველი კლდეა მაღალი,
უბალახო და შიშველი;
მეორე, ბავშო, თუ მოგხვდა
იტირებ, ვერას გიშველი!
მესამე—ერთი ასოა,
ლოცვით იწყება სახელი;
...სამივეს ოთხი ასოთი
ადვილათ დასწერს, მკითხველი!

უჯრების ამოცანა

(წარმოდგენილი არ. გულისაშვილისაგან)



ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები, რომ გამოვიდეს ერთი ქართული ანდაზა:
ა, ც, ა, ს, ა, ყ, უ, ე, ი, ლ, უ, ვ, ა, კ, ს, ვ, ი, ლ, ვ, ჩ, ა, გ, ვ, ს, ა, ი, ს, ა, ტ, ა, ჩ, ს, ნ, ს, უ, ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი სათ-აზნ. სკოლის მოსწავლე ირ. ზედგინიძისაგან)



ი, ს  , მ ა

საიდანაც მზე ამოდის

ს,

ფ, 10,

ერთი ფერის მეორე ფერათ გარდაქმნა



, 100,

ს ი

ძნის შესაკრავი,

, ო მ კ

ბატარა ძალი

ა დ, ე



ს, ვ მ , ე ბ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ I ჯეჯილისა:

აკროსტიხი: 1) გ. წერეთელი, 2) იანვარია.
ზმა: ტოტი, კაენი, მელა, ენა, ბერი, ია.
ამოცანა: ადამ, კატა, აბრამ, კარი, ილია—აკაკი, მამია.
შნრადა: მამა-ლი.
რებუსი: ღორო შესულხარ ყანაში, ჭამ, ახდენ არა გრცხვენია, გარემოება ხელს გაძლევს, ბურთ-მოედანი შენია.

აკროსტიხები, შარადა, ამოცანა, ზმა, ეპიტეზისი და რებუსი ახსნეს: თფილისში—თბილისის პირველ დედათა გიმნაზიის მოსწავლე ქალმა საშა ციციშვილმა და სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეებმა: დიმ. დეკანოზიშვილმა, იოსებ ტატიშვილმა, ირ. ზედგინიძემ და ლ. რცხილაძემ, ბათუმში: ვანო რამიშვილმა და დათა მაჭავარიანმა, ოზურგეთის სკოლის მოსწავლემ მაკარი კანდელაკმა, აკეთის ორ-კლასიანი სკოლის მოსწავლეებმა: ბარნაბა ვადაჭკორიამ და ივლიანე ტუღუშმა, ბახვის სკოლის მოსწავლეებმა სიმონ ჭანუყვაძემ და ჯიმშეთი ჭელიძემ, და ლ. გორისწვერელმა.

პატარა მკითხველების წერილები

თფილისი. საყვარელ ჯეჯილის რედაქციაში.

ძვირფასო ჯეჯილის მკითხველებო! რატომ არა სწერთ წერილებს რედაქციაში. მე ძალიან მომწონს ჯეჯილი. სუყველა ამბებს მირჩევნია პატარა მეგაზეთე. მე ძალიან მიყვარს კითხვა და ამიტომ ძალიან ბევრი წიგნები მაქვს. მე 18 დედოფალა მყავს.

თამარა ნიკოლაძე (7 წლისა)

ჩვენო კარგო რედაქტორო! მე მომეწონა იანვრის ნომერში „პატარა იესო“, „სიყვარულს რა არ შეუძლიან“ და „ბედნიერი დღე“. ვთხოვ პატარა მკითხველებს მოიწერონ რედაქციაში და შემატყობინონ, რა მოეწონათ იმათაც.

თქვენი მოსიყვარულე პატარა მკითხველი საშა ციციშვილი (12 წლ.)

ჩემო ძვირფასო რედაქტორო! ჩვენი ჟურნალის ჯეჯილის იანვრის ნომერში წავიკითხე ყველაფერი. ყველაზე მეტათ მომეწონა: პატარა იესო, სიყვარულს რა არ შეუძლიან და ბედნიერი დღე. მინდოდა, რომ არ გათავებულიყო.

თქვენი მორჩილი დიმიტრი დეკანოზიშვილი (9 წლ.)

ბ. რედაქტორო! მე ძალიან მომეწონა იანვრის ნომერში მოთხრობა „სიყვარულს რა არ შეუძლიან!“ იმედი მაქვს, რომ არ მოგვაკლებთ ამისთანა მოთხრობებს. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი ე. გაბაშვილისას.

იოსებ ტატიშვილი (11 წლ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თეოლისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თეოლისში დატარებით დირს 4 მან. თეოლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თეოლისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანტელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*